F826 ~ 7294

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

2 VIII 1991 ფასი 50 კაპ. № 28 (33)


# „ხსენება მართლისა ქებით აღესრულების“



**წმ. ელია წინასწარმეტყველი.**
ქართული მინიატურა. ზაქარია ვალაშკერტელის ხვინაქსარი (1030 წ.).

**20 ივლისს** (ახ. სტ. — 2 აგვისტოს) ქრისტიანული ეკლესია ზეიმობს წმ. დიდი წინასწარმეტყველის ელია თეზბიტელის ხსენებას (IX ს. ქრისტეს შობამდე).

წმ. ელია წარმოშობით გალაადის ქალაქ თეზბიდან იყო. ამიტომაც ეწოდა მას თეზბიტელი. ცხოვრობდა ისრაელის კერპთმსახური მეფის აქაბის დროს.

აქაბი საღმრთო ისტორიაში უცოდვილეს მეფედაა მიჩნეული, რადგან ღმრთის რჩეული ერი მან კერპთმსახურების გზაზე დააყენა. ცოლად შეირთო სიდონის მეფის ასული იეზაბელი, და, მისგან წაქეზებულმა, ბაალის კერპს ბომონები აღუმართა. კერპთმსახურებად განაწესეს 450 წინასწარმეტყველი ბაალისა და 400 — მაღნარისა. „და ქმნა აქაბ, ძემან ამრისმან, ბოროტი წინაშე უფლისა უმეტეს ყოველთა წინანდელთასა“, — ვკითხულობთ III მეფეთა წიგნში (16, 30).

ჭეშმარიტი სჯულის მიმდევრები მთელ ისრაელში იდევნებოდნენ. იეზაბელმა დაახოცინა უფლის წინასწარმეტყველები. ქვეყანაში სიცრუე და ულმრთოება გამეფდა, სიბნელემ და უსასოებამ დაისადგურა. ვერავინ იფიქრებდა, თუ ოდესმე გამოჩნდებოდა ძალა, ამ უსჯულოების შემმუსრველი.

ჭეშმარიტი ღმრთისმსახურების მოშურნემ წმ. ელია წინასწარმეტყველმა, რომლის უძლურებაში ღმრთის ძლიერება დამკვიდრებულიყო (თვით სახელი „ელია“ — „ღმრთის ძალას“ მოასწავებს), გაბედა უსჯულოებასთან შებმა. იგი გამოეცხადა აქაბ მეფეს და უთხრა: „ცხოველ არს უფალი ღმერთი ძალთა, ღმერთი ისრაელისა, რომლისა წინაშე ვდგა მე, უკუეთუ იყოს ცვარი, გინა წვიმა ამათ წელთა თვინიერ სიტყუათა პირისა ჩემისათა“ (III მეფ. 17, 1). მაშასადამე, იგი დაემუქრა აქაბს, რომ, თუ არ მოიქცეოდა კერპთმსახურებისაგან, გვალვას მოუვლენდა მის სამეფოს და ცვარიც არ ჩამოვარდებოდა ისრაელში.

შეეძლო თუ არა რომელიმე მოკვდავთაგანს ასეთი მუქარის აღსრულება? ნუთუ წვიმისა და უწვიმრობის წინაშე ვისმე შესწევს ძალი ქადილისა, როგორი ძლიერიც უნდა იყოს პიროვნულად? დარ-ავდრის განმგებლობა ხომ ზეციური მეუფის ხელთაა!

იაკობ მოციქულის თქმით — „ელია კაციც იყო მსგავსი ჩუენი“ (იაკ. 5, 17). საკუთარი პიროვნული ძალებით იგი ბუნების ძალებს ვერ დაიმორჩილებდა, მაგრამ **ღმრთის წინაშე მდგომი** ე. ი. მისი ნების მყოფელი ელია იქადოდა არა საკუთარი ძალით, არამედ ძალით ღმრთეებისა, რომელიც მასთან იყო დამკვიდრებული.

ძალა ღმრთისა უშურველად ეძლევა ადამიანს, თუკი იგი მთელი არსებით მიენდობა უფალს. მაგრამ თუ კაცი საკუთარი ძალების იმედად დარჩება, დაიწყებს ქადილსა და კვეხნას, „ვითა მთრვალი“, — მას ღმრთის ძლიერება არ მიეცემა. თავისი ქადილით იგი უკვე ამჟღავნებს, რომ არც სჭირდება ეს მას.

ელია იყო განსახიერება ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და სრული მორჩილებისა ღმრთის მიმართ. ამიტომაც იყო ძალა ღმრთისა მის არსებაში დასადგურებული.

აქაბი სიკვდილით დაემუქრა მეამბოხეს, მაგრამ უფალმა იხსნა თავისი წინასწარმეტყველი. იგი მიავლინა ქორათის ნაღვარევში, სადაც ღმრთის ბრძანებით ყორანი უზიდავდა პურსა და ხორცს, ნაღვარევიდან კი წყალს სვამდა.

როდესაც გვალვამ ნაღვარევიც გააშრო, უფალმა ელია მიავლინა სარეფთას, ერთ ქვრივ დედაკაცთან, — ის გამოგკვებავსო ჩემი ბრძანებით.

ელია წავიდა სარეფთას და ქალაქის შესასვლელში შეხვდა ქალს, რომელიც შეშას კრებდა. წყალი სთხოვა, და როდესაც დედაკაცი მის მოსატანად წავიდა, სიტყვა დაადევნა, ერთი კოტორი პურიც მომიტანეო. დედაკაცმა შესჩივლა: ცოტაოდენი ფქვილი და ზეთი შემომრჩა, დღესღა თუ გვეყოფა მე და ჩემს შვილებს, ხვალიდან კი შიმშილით სიკვდილი გვემუქრებაო.

ელია წინასწარმეტყველმა დედაკაცი დააიმედა, — ნუ გეშინია, გამოაცხე პური, ჯერ ერთი კოტორი მე მომართვი, დანარჩენი შენ და შენმა შვილებმა ჭამეთ; შენს საფქვილეს ფქვილი არ მოაკლდება და საზეთეს — ზეთი, სანამ ეს გვალვა დგასო.

კეთილმსახურმა დედაკაცმა ელიას დაუჯერა: ჯერ მას მიართვა პური, მერმე მან და მისმა შვილებმა ჭამეს.

ელიას სიტყვისამებრ, იმ დღიდან ქვრივის საფქვილესა და საზეთეს აღარ მოჰკლებია. ღმერთმა ელიას მეოხებით მორწმუნე დედაკაცს დაულეველი სარჩო გაუჩინა.

უეცრად დასნეულდა ქვრივის ძე და სული განუტევა. დედაკაცმა იფიქრა, განსაცდელი ჩემი ცოდვების გამო მოიწია ჩემზეო, და ელიას შესჩივლა. უფლის წინასწარმეტყველმა ილოცა ღმრთის წინაშე და ყრმას სიცოცხლე დაუბრუნა. გახარებულმა დედაკაცმა თქვა: „აწ უწყი, რამეთუ კაცი ღმრთისა ხარი შენ და სიტყუაჲ ღმრთისა ჭეშმარიტ არს პირსა შენსა“ (III მეფ. 17, 24).

გვალვის მესამე წელს, როცა მთელ სამარიაში შიმშილი მძვინვარებდა, უფალმა უბრძანა ელიას, წარდგომოდა აქაბ მეფის წინაშე და სასწაულთმოქმედებით ეჩვენებინა მისთვის ძალა ღმრთისა, რომელიც მისი ლოცვით ქვეყნიერებას წვიმას მოუვლენდა.

ელია რომ დაინახა, განრისხებულმა აქაბმა უთხრა: „შენ ხარა ამრღუე (ამამღვრეველი, შფოთისთავი) ისრაელისა?“

ელიამ მიუგო: „არა მე, არამედ შენ და სახლი მამისა შენისა, რამეთუ დაუტევეთ უფალი ღმერთი თქუენი და შეუდეგით კვალსა ბაალისასა“ (III მეფ. 18, 17-18).

ელიამ შესთავაზა მეფეს, კარმელის მთაზე მსხვერპლშეწირვით გამოერკვიათ, რომელი იყო ჭეშმარიტი ღმერთი: ბაალი თუ ღმერთი ისრაელისა. ამისათვის მისცა პირობა: არც ბაალის მსახურთ, არც ელიას სამსხვერპლოზე დაწყობილი შეშისა და ზვარაკისათვის ცეცხლი არ უნდა შეეხოთ. ელიას სიტყვით, ცეცხლს თავად უფალი მოავლენდა ზეციდან, და ეს სასწაული გამოაჩენდა, რომელი იყო ჭეშმარიტი ღმერთი.

აქაბმა კარმელის მთასთან მოიხმო ბაალისა და მაღნარის წინასწარმეტყველნი; ჭეშმარიტების გამოჩენის მოლოდინით იქვე თავი მოიყარა მთელმა ისრაელმა.

დიდხანს მოუხმობდნენ ბაალის ქურუმები თავის კერპს, მსხვერპლი შეიწირეო, მაგრამ ამაოდ. ელია დასცინოდა მათ: უფრო ხმამაღლა უხმეთ, იქნებ განცხრომაშია თქვენი ღმერთი, ან იქნებ არ სცალია, ანდა სძინავს და გამოიღვიძოსო (III მეფ. 18. 27).

ბოლოს ელიამ აღმართა საკურთხეველი, დააწყო შეშა და ზედ ზვარაკი დადო. შეშას, ელიას ბრძანებით, ოთხი დიდი ჰურჰლით იმდენი წყალი დაასხეს, რომ საკურთხევლის გვერდით ტბა დადგა. ილოცა ღმრთის რჩეულმა და მოხდა სასწაული: „გარდამოვარდა ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით და შეჭამა მსხვერპლი იგი და შეშა იგი და მიწა იგი და წყალი იგი, რომელ დგა ტბასა მას, აღწბა ცეცხლმან მან“ (III მეფ. 18, 38).

ამის შემხედვარე ერი პირქვე დაემხო და ისრაელის ღმერთის ჭეშმარიტება აღიარა. ელიამ უბრძანა მათ, შეეპყროთ ბაალის მსახურნი, რათა არავინ გაქცეოდათ და ერთიანად ამოეწყვიტათ. მართლაც, ისინი შეიყვანეს კიშონის ხევარევში და ელიამ „მოსრნა იგინი მუნ“ (III მეფ. 18, 40). ამის შემდეგ ელია ავიდა კარმელის მთის მწვერვალზე, მუხლი მოიდრიკა და წვიმა შესთხოვა უფალს. მალე შავი ღრუბლით დაიფარა ცა, ქარმა დაუბერა და ძლიერი წვიმა წამოვიდა.

●

ბიბლია ელია წინასწარმეტყველის სხვა დიდ სასწაულებსაც მოგვითხრობს: ერგასისთავის და ერგასის დაწვა ზეციური ცეცხლით (IV მეფ. 1, 10-12), ხალენით მდინარის გაპობა (IV მეფ. 2, 8) და სხვ.

უფლის ნებით ელია ცეცხლოვანი ეტლით იქნა ატაცებული ზეცად (IV მეფ. 2, 11), რათა ისევ გამოცხადდეს უკანასკნელ ჟამს: „და აჰა, მე მოგივლენ თქუენ ელიას თეზბიტელსა პირველ მოსლვისა დღისა უფლისაჲსა, დიდსა და განჩინებულსა“ (მალაქ. 4, 5).

ელია წინასწარმეტყველის სახელი ახალი აღთქმის საღმრთო წერილშიც გვხვდება არაერთგზის: იოვანე ნათლისმცემელი მოვლინებული იყო „სულითა და ძალითა ელიასითა“ (ლუკა 1, 17). თანამედროვეებს იგი ერთხანს თავად ელიად მიაჩნდათ (იოვანე 1. 21-25). ამავე გაგებით ამბობს უფალი, ელია უკვე მოვიდაო (მათე 11, 14; 17, 11; მარკ. 9, 13). ელია წინასწარმეტყველი გამოუჩნდა უფლის მოწაფეებს თაბორის მთაზე ფერისცვალების დროს (მათე 17, 1-8; მარკ. 9, 2-8; ლუკა 9, 28-36) და ა. შ.

●

ელია წინასწარმეტყველის ხსენება უხსოვარი დროიდანვე დიდი ზეიმით აღინიშნებოდა საქართველოში. ისტორიული ტრადიციით საქართველოშია დასვენებული ელიას ხალენი, და ამ სიწმიდის თაყვანისსაცემად მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში (ელიას სახელობის ეგუტერში) ყოველწლიურად საზეიმო ღმრთისმსახურება სრულდებოდა. ჩვენს ერს დიდი სასოება ჰქონდა „ხორცითა ანგელოზისა და წინასწარმეტყველთა თავის“ — ელიასადმი. მისი სახელობის ეკლესიებს უმეტესწილად მაღალი მთის მწვერვალებზე აშენებდნენ. დღესაც შემორჩენილია ელიას სახელზე მსხვერპლშეწირვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დედოფლის წყაროს მახლობლად და საქართველოს სხვა კუთხეებში.

ელიას მიმართ ლოცვა წვიმის მოყვანისათვის ან უწვიმრობისათვის — ხალხურ წესჩვეულებად იქცა და ზოგიერთ რეგიონში ლაზარობის რიტუალს შეუერთდა. სნეულთა მკურნალსა და ზეციური ცვარის მიმნიჭებელს არასოდეს გაუცრუებია სასოება მართლმორწმუნეთა.

●

იმისათვის, რათა ჩვენს უძლურებას შეეწიოს უფალი, ზეციურ საფარველზე უნდა დავამყაროთ ჩვენი სასოება.

ელია წინასწარმეტყველი საკვირველი სასწაულების მოქმედი იყო მთელი ერის წინაშე, მაგრამ ყველა როდი იყო ჭეშმარიტების სიტყვის შემწყნარებელი. ბევრი ქვრივი იყო ელიას დროს ისრაელში, მაგრამ „არავისა მათგანისა მიივლინა ელია, გარნა სარეფთად სიდონისა, დედაკაცისა ქურივისა“ (ლუკა 4, 26).

წმიდათა ქადაგებას თითოეული ჩვენგანი ისმენს, მათი ღვაწლი საქვეყნოდაა განცხადებული, მაგრამ ყველანი როდი ვართ მათი სიწმიდის შემწყნარებელნი.

შესაძლოა ვინმემ იფიქროს: ელია წინასწარმეტყველი 29 საუკუნის წინათ ცხოვრობდა; მისი სასწაულები და საღმრთო ძლიერება ჩვენამდე მხოლოდ ბიბლიური წიგნებითაა მოღწეული. ამიტომაც ვერ ვიქნებით ისეთივე მგზნებარე თაყვანისმცემლები მისი, როგორც უშუალო თვითმხილველი— სარეფთელი დედაკაცი იყოო.

წმიდათა ცხოვრების შესახებ ბუნდოვანი ცოდნის მომიზეზება, თითქოსდა მათი სიწმიდის უშუალო მაგალითების უქონლობის გამო, არც ერთი ეპოქისათვის გამართლებული არაა. ღმერთი არც ერთ საუკუნეს და არც ერთ ქვეყანას არ ტოვებს წმიდა ადამიანების მოვლინების გარეშე. **ხანამ ქრისტეს ეკლესია ცოცხალია, მასში წმიდა ადამიანები მუდამ იქნებიან.** საჭიროა მხოლოდ მათი დანახვა და კეთილი მაგალითის გადაღება.

ერთი ქართველი ჰაგიოგრაფის სიტყვით,



VIII–IX სს. კლარჯეთის ბერ-მონაზონნი „არარაჲთ უნაკლულეს იყვნეს პირველთა მათ მამათა“. სხვადასხვა დროს საქართველოში სიწმიდით გაბრწყინდნენ წმ. მოწამენი, მღვდელთმთავარნი, უვერცხლონი, ღირსნი და მართალნი. ვერც ერთი საუკუნე ვერ დაიჩივლებს წმიდათა სიმცირეს. უნდა დავიჩივლოთ მხოლოდ ჩვენი გულფიცხელობა, რომლის გამო ჩვენშიც, ისრაელის მსგავსად, „არავინ წინასწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა“ (ლუკა 4, 24).

**წმიდა ილია მართალი,** წმიდა დიდი წინასწარმეტყველის ელიას მოსახელე, მსოფლიოს ყველა მართლმორწმუნისათვის ბრწყინვალე მაგალითია უმაღლესი ქრისტიანული სათნოებისა, ღმრთისა და მოყვასის თავდადებული სიყვარულისა, ჭეშმარიტების მსახურებისა და ღმრთივ-განბრძნობილი მოძღვრობისა.

ილია მართალი, როგორც შუამდგომელი ღმერთსა და კაცს შორის, როგორც ქართველი ერის სულიერი მამა და მოძღვარი, მუდამ მანათობელ ლამპრად წარუძღვება ჭეშმარიტების გზით მავალ თანამოძმეთ.

სათანადოდ ვიცნობთ თუ არა წმ. ილია მართლის შემოქმედებას; გვაქვს თუ არა რამდენადმე ნათელი წარმოდგენა მის დიდებულ პიროვნებაზე, მის სარწმუნოებაზე, სულის სიწმიდესა და სიმაღლეზე?

სინანულით უნდა ითქვას, რომ მორწმუნეთა შორის ხშირად ვხვდებით ნიჰილისტურ წარმოდგენებს წმ. ილია მართლის შესახებ. ქართული სამოციქულო ეკლესიის მიერ წმიდათა დასში მისი შერაცხვაც ხანდახან უმართებულოდაა მიჩნეული.

რა არის ამის მიზეზი?

ერთადერთი მიზეზი შესაძლოა იყოს მხოლოდ უცოდინრობა ილია მართლის ღვაწლისა, რასაც ხანდახან ზოგადი რელიგიური უმეცრებაც ერთვის.

ბოლო ხანებში ჩვენს საზოგადოებაში შეიმჩნევა დიდი ლტოლვა სარწმუნოებრივი ცოდნის გაღრმავებისაკენ. იქმნება საინტერესო ნაშრომები ეკლესიის ისტორიაში, დოგმატიკაში, ჰაგიოლოგიაში, სხვა საღმრთისმეტყველო დისციპლინებში; მაგრამ რატომღაც არსად ჩანს ისეთი დიდმნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა, მაგალითად, წმ. ილია მართლის საღმრთისმეტყველო შეხედულებანი, მის მხატვრულ ქმნილებათა საკრალური ასპექტი და სხვ. ეს მაშინ, როდესაც ინტენსიურად ითარგმნება წმ. ილია მართლის თანადროულ უცხოელ ღმრთისმეტყველთა (XIX-XX სს.) შრომები, მათ შესახებ იწერება სამეცნიერო, საკურსო და ა. შ. შრომები...

უცხო ბაღში ხალისით ვიყურებით და ჩვენი ბაღის მარგალიტები ვერ დაგვინახავს.

20 ივლისი (ახ. სტ. — 2 აგვისტო) წმიდა ილია მართლის ხსენების დღეა, ჩვენი სულიერი ამაღლებისა და გამოფხიზლების დღე.

**ევ. ძლიერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდება გარდაბანში?

**ამა** წლის ივნისის თვის დასაწყისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები, ქალბატონები ლეილა გაფრინდაშვილი და თინათინ შელეგია გარდაბანში ჩავიდნენ, რათა გაერკვიათ, თუ რატომ არ ამარაგებს გარდაბნის რაიონი თბილისს ბოსტნეულით.

ზემოაღნიშნული პირნი შეხვდნენ რაიონის მესვეურებს, ესაუბრნენ მათ და როდესაც პრეფექტის კაბინეტიდან გამოვიდნენ, ადგილობრივ მაცხოვრებელთა ჯგუფი შემოეხვია. ხალხი, თურმე, აღშფოთებას გამოთქვამდა — რაიონში სრული განუკითხაობაა, ამის თავი და თავი პრეფექტიაო!

იმ დღიდან მოყოლებული, მომჩივანთა ნაკადი არ შეწყვეტილა. აღმოჩნდა, რომ გარდაბნელები კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ საჩივრებს უზენაეს საბჭოში უკვე რამდენიმე თვეა რაც აგზავნიან, მაგრამ არც ერთზე არ მიუღიათ პასუხი, არც ერთზე არ ყოფილა რეაგირება (საინტერესოა, სად დაიკარგა, ვინ დაკარგა ეს წერილები?!).

1 ივლისს თბილისში ჩამოვიდნენ გარდაბნის რაიონის 14 ქართული სოფლის წარმომადგენლები, უზენაეს საბჭოში ისინი შეხვდნენ ბატონ აკაკი ასათიანს, მოახსენეს თავისი გასაჭირი და დახმარება ითხოვეს. ბატონმა აკაკიმ აღუთქვა, რომ ყველაფერს მოახსენებდა პრეზიდენტს და ერთ კვირაში საკითხი გადაწყდებოდა.

შემდგომ ამისა გარდაბნელები 15 ივლისს ჩამოვიდნენ თბილისში, რადგან, დაპირების მიუხედავად, გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. რაიონის მცხოვრებთა დელეგაციას შეხვდა პრეზიდენტის ახლად შექმნილი აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსი, ბატონი იოსებ ბარათაშვილი, მოუსმინა მათ და აღუთქვა, რომ 2 დღეში ჩავიდოდა გარდაბანში, შეისწავლიდა მდგომარეობას, მოახსენებდა პრეზიდენტს და საკითხიც გადაწყდებოდა. ამ პასუხმა გარდაბნელები არ დააკმაყოფილა, რადგან, მათი აზრით, უზენაეს საბჭოში უკვე საკმარისად დაგროვდა ინფორმაცია იმისთვის, რომ საკითხი დაუყოვნებლივ გადაჭრილიყო. ჩამოსულებმა დაჟინებით მოითხოვეს პრეზიდენტთან შეხვედრა. მათი ერთი წარმომადგენელი და ამ წერილის ავტორი ბატონ გიორგი ხოშტარიას რეკომენდაციით პრეზიდენტის მდივანმა რიგში ჩაწერა, მაგრამ მთელი დღის ლოდინის მიუხედავად, შეხვედრა მაინც არ შედგა. ამან გარდაბნელების აღშფოთება და, შეიძლება ითქვას, სასოწარკვეთა გამოიწვია — პრეზიდენტის მდივანი პრეფექტის მოადგილის, მზია გულბანის ახლობელია და ამიტომ არ შეგვიშვა პრეზიდენტთან, არ ყოფილა სამართალიო!

გარდაბნელების გასაჭირზე ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, რადგან დავესწარით მათ შეხვედრას ბატონ აკაკი ასათიანთან, ასევე ბატონ იოსებ ბარათაშვილთან, ვესაუბრეთ რამდენიმე მათგანს — ქალბატონ ზენარ ნოზაძეს, გარდაბნის რაიონული გაზეთის „სამგორის“ თანამშრომელს; ქალბატონ გულნაზი ეპიტაშვილს, გარდაბნის საბავშვო ბაღის გამგეს; ბატონ ალბერტ ხმალაძეს, სოფელ გამარჯვებაში მცხოვრებ ინჟინერ-მშენებელს; ბატონ თამაზ გოზალიშვილს, გარდაბნის რაიაღმასკომის ყოფილ საქმეთა მმართველს.

გარდაბნელების საჩივარი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს — რაიონში მძიმე, ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა, რადგან პრეფექტი რეზო ონიანი ატარებს მანკიერ საკადრო პოლიტიკას. გარდაბნის რაიონში ოფიციალურად 114762 მაცხოვრებელია (მონაცემები მიღებულია გარდაბნის რაიონის სტატისტიკური ბიუროსგან), აქედან ქართველია 52796, აზერბაიჯანელი — 48781, სვანური წარმოშობის ქართველი კი მხოლოდ 962 კაცია (გარდაბნელები მიიჩნევენ, რომ სინამდვილეში, დაახლოებით, 2500 კაცი იქნება), მაგრამ ხელმძღვანელ, საკვანძო, ე. წ. „სარფიან“ ადგილებზე პრეფექტი ნიშნავს თავის ნათესავებსა და ახლობლებს, 30-ზე მეტი თანამდებობის პირი სვანია (მაგალითად, საზკვების უფროსი, ნავთობბაზის უფროსი, სახავტოინსპექციის უფროსი, რაიკავშირის უფროსი, განათლების განყოფილების უფროსი და ა. შ. — გარდაბნელებმა წარმოადგინეს სია).

პრეფექტის ამგვარი მოქმედება იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის, როგორც ქართველების, ასევე აზერბაიჯანელების, უკმაყოფილებას. პრეფექტის მიერ დანიშნულ პიროვნებებს გამდიდრების მეტი არაფერი აინტერესებთ, ავიწროებენ როგორც ქართველ, ასევე არაქართველ მოსახლეობას, ეს იწვევს დაპირისპირებას, ქმნის ეთნოკონფლიქტის საფრთხეს — ადგილობრივი მოსახლეობა ძალაუნებურად უპირისპირდება არა მხოლოდ პრეფექტს, არამედ სვანეთიდან ჩამოსახლებულებს. აზერბაიჯანელები ადგილობრივ ქართველებს აფრთხილებენ, რომ თუ ისინი არ ალაგმავენ პრეფექტისა და მისი ხალხის უკანონო ქმედებას, მოხდება შეჯახება, დაიღვრება სისხლი.

პრეფექტის მოქმედება ძირს უთხრის ეროვნულ ხელისუფლებას, ხალხი კარგავს რწმენას, მით უმეტეს, რომ მათ ჩივილს არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ხალხში გაჩნდა ეჭვი და უნდობლობა და თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა, რაიონში ეს სერიოზულ პოლიტიკურ გართულებას გამოიწვევს.

გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, პრეფექტი შეგნებულად ეწევა ანტიეროვნულ მოქმედებას. საქმე ისაა, რომ 28 ოქტომბრის არჩევნებში რ. ონიანი მიწათმოქმედთა კავშირის კანდიდატი იყო და არაა გამორიცხული, იგი განზრახ უტეხდეს სახელს ეროვნულ მთავრობას.

პრეფექტის უკანონო მოქმედების საილუსტრაციოდ ერთი ეპიზოდის მოხმობაც იკმარებს — როდესაც ტაბახმელის გამგებლის არჩევნები მიმდინარეობდა, პრეფექტი საკრებულოს წევრებს იარაღით დაემუქრა, თუ იმას არ აირჩევთ, ვისაც მე გეტყვით, აქვე დაგხოცავთო. გარეთ გამოსულმა კი ჰაერში გაისროლა ხალხის დაშინების მიზნით (ეს ყველაფერი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი).

ან, თუნდაც, ის ფაქტი რად ღირს, რომ გარდაბნის ცენტრალური ქუჩა, რომელზეც პრეფექტს ყოველ დღე უხდება გავლა, დღემდე ლენინის სახელს ატარებს(!).

კანონის შეგნებულ დარღვევასთან ერთვის ხელმძღვანელ პირთა არაკომპეტენტურობა (პრეფექტის მოადგილეს, მზია გულბანს 8 კლასის განათლება აქვს — განაცხადეს გარდაბნელებმა). რაიონის ეკონომიკა მძიმე დღეშია, ყველაფერი თავის ნებაზეა მიშვებული, საწვავი და პროდუქცია შავ ბაზარზე ხვდება, გადის რესპუბლიკის გარეთ.

მზია გულბანი სპეკულაციას ეწევა პრეზიდენტის და მისი მეუღლის სახელით, აცხადებს, რომ პირადად იცნობს პრეზიდენტის მეუღლეს, კარგ ურთიერთობაშია მასთან და ხალხს აშინებს — ყველაფერი, რაც რაიონში ხდება, შეთანხმებულია პრეზიდენტთან და ვინც ჩვენი წინააღმდეგია, პრეზიდენტის წინააღმდეგიაო. მართალია, ხალხს ამის არ სჯერა, მაგრამ ის, რომ მათ ჩივილს დღემდე შედეგი არ მოჰყოლია, თავისთავად წარმოშობს ეჭვს... (სხვათა შორის, ქალბატონმა ლეილა გაფრინდაშვილმა ჰკითხა ქალბატონ მზია გულბანს, იცნობს თუ არა პრეზიდენტის მეუღლეს, რაზეც მან უარი განაცხადა).

რაიონში ხშირია სამართალდარღვევის მიჩქმალვის ფაქტები (მაგ. შეჩერებულია ანზორ ფირცხალანის დაჭრის საქმე — მისი დაჭრა პრეფექტის ძმას და კიდევ ორ პიროვნებას ედებათ ბრალად).

პრეფექტის თვითნებობის დამადასტურებელია რაიაღმასკომის საქმეთა მმართველის თამაზ გოზალიშვილის მოხსნის ფაქტი — მის ადგილას ისე მოიყვანეს სხვა პიროვნება, რომ გოზალიშვილის განთავისუფლების შესახებ ბრძანება არც კი და დაუწერიათ. იმ დროს გოზალიშვილი შვებულებაში იმყოფებოდა.

ბატონმა თამაზ გოზალიშვილმა განაცხადა, რომ პრეფექტის მოადგილემ, ქ-ნმა მზია გულბანმა ორი ფურცელი დაუდო მაგიდაზე და უთხრა, ან ჩამოწერ ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულთა სიას ან სამუშაოს დაკარგავო...

ქალბატონმა გულნაზი ეპიტაშვილმა განაცხადა, რომ პრეფექტის ბრძანებით საბავშვო ბაღს წაართვეს მანქანა, რომლის მეშვეობითაც სურსათი გადაჰქონდათ. ეს მანქანა ეროვნულ გვარდიას ესაჭიროებაო!

გარდაბნიდან ჩამოსულებმა კიდევ ბევრი რამ გვიამბეს რაიონში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ, მაგრამ იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ, ალბათ, ესეც საკმარისია.

17 ივლისს, ბატონი იოსებ ბარათაშვილი, დაპირებისამებრ, გარდაბანში ჩავიდა. მასთან ერთად ვიყავით: პრეზიდენტის აპარატის მმართველობის ბიუროს წევრი ბატონი ზაურ ქობალია, ქალბატონები ლეილა გაფრინდაშვილი და თინათინ შელეგია, უზენაესი საბჭოს წევრი ბატონი კოტე ფირცხალავა, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი და ამ პუბლიკაციის ავტორი.

როდესაც გარდაბანში ჩავედით, ორ ჯგუფად გავიყავით, პრეფექტის კაბინეტში დავრჩით ბატონი იოსებ ბარათაშვილი, ბატონი ზაურ ქობალია და გაზეთის კორესპონდენტი. დანარჩენები წავიდნენ სამართალდამცავი ორგანოებისა და ფინანსთა განყოფილების საქმიანობის გასაცნობად. პრეფექტთან მთელი დღე დავყავით, ბატონმა იოსებმა აუხსნა მას ჩვენი ჩასვლის მიზანი, რაზეც პრეფექტმა განაცხადა — ძალიან კარგი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს მტყუანი და მართალიო. მაგრამ როდესაც მასზე შემოსული საჩივრები წაიკითხა, აღშფოთდა და აღელდა — განა შეიძლება სვანების და ქართველების გამიჯვნა?! მაშ, სვანები ემიგრანტები, უფრო სწორად, გლადიატორები ყოფილანო?! ბატონი იოსები დაეთანხმა, რომ ამგვარი გამიჯვნა სრულებითაც არაა მიზანშეწონილი, მაგრამ რაიონის ადგილობრივი მოსახლეობა ჩივის, რომ სვანეთიდან ჩამოსახლებულების მხრიდან დისკრიმინაციას განიცდის.

ბატონმა იოსებმა პრეფექტს სთხოვა ეპასუხა საჩივრებში მოყვანილ ბრალდებებზე.

პრეფექტმა ტაბახმელაში მომხდარი ამბავი შემდეგნაირად მოგვითხრო — როდესაც საკრებულოს ეზოში შევედი, დამხვდა 50-70 მთვრალი, რომლებიც გამგებლად მათი თანასოფლელის არჩევას მოითხოვდნენ. მე ვუთხარი, რომ ჩემი კანდიდატურა მყავს, წავკისელი კაცი (ტაბახმელა და წავკისი ერთი საკრებულოა) და მე მას ვუჭერ მხარს.

შემდეგ ეს მთვრალი ხალხი დარბაზში შემომყვა. ვუთხარი გარეთ გასულიყვნენ. მართლაც გავიდნენ, მაგრამ ეზოდან ისმოდა მათი ხმამაღალი გინება. საკრებულოს წევრებს ვკითხე, რა გაქვთ ჩემი კანდიდატის საწინააღმდეგო-მეთქი. ჩვენი სოფლელი არ არისო. მე ეს პრეტენზია არ მივიღე. არჩევნების შემდეგ გამოვედით, მკითხეს, როგორ არის საქმეო. ვუთხარი, არჩევნები ჩატარდა ყველა წესისა და კანონის დაცვით. როდესაც გარეთ გამოვიდა ის პიროვნება, ჩემი კანდიდატი, რომელიც აირჩიეს, მთვრალი ხალხი დაესია, ატყდა შეხლა-შემოხლა, ზოგმა დანაც კი ამოიღო. რა უნდა მექნა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს?! ამოვიღე სატაბელო იარაღი და ჰაერში გავისროლე, რომ ხალხი დამეშოშმინებინა. ხალხი მართლაც დაწყნარდა. ჰოდა, ესაა ჩემი დანაშაული?! ჩემი მოქმედება მე სავსებით სწორად მიმაჩნია!

მოვლენებს გავუსწრებ და აქვე ვიტყვი, რომ დღის ბოლოს, როდესაც პრეფექტის კაბინეტში დაბრუნდნენ ქალბატონები ლეილა გაფრინდაშვილი და თინათინ შელეგია, ბატონი კოტე ფირცხალავა, ტაბახმელაში მომხდარ ინციდენტზე საუბარი განახლდა. ქალბატონმა ლეილამ განაცხადა, რომ მათ ნახეს ფირი, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ დაემუქრა პრეფექტი საკრებულოს წევრებს იარაღით, მაგიდაზე დაუდო და უთხრა: აქ 16 ტყვიაა, 16 კაცს ახლავე გაგაგორებთ, დანარჩენებს მერე მოგივლით, თუ ჩემს კანდიდატს არ აირჩევთო. ასეთი „წესისა და კანონის“ დაცვით ჩატარდა არჩევნები. პრეფექტმა ამბის ბოლო მოგვიყვა, მაგრამ მთავარი დაგვიმალა.

როდესაც ბატონმა იოსებმა ჰკითხა, ნუთუ მას დასაშვებად მიაჩნია ამგვარი მოქმედება, პრეფექტმა მოკლედ უპასუხა — ამისთვის დამსაჯეთ (!).

ეს ერთი ფაქტი, ჩემი აზრით, უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს პრეფექტის ყოველი სიტყვა თუ განცხადება.

დავუბრუნდეთ საუბრის პირველ ნაწილს.

ბატონმა იოსებმა ჰკითხა პრეფექტს მისი მოადგილეების შესახებ. მანაც უპასუხა, რომ 3 მოადგილე ჰყავს — მზია გულბანი, ზაზა მამნიაშვილი და ფაზილ ალიევი, თანაც განაცხადა, არც ერთი მათგანი თვითნებურად არ დამინიშნავს, ბატონ პრეზიდენტს შევუთანხმეო. ჩვენ ვკითხეთ, მართლა იყო თუ არა იგი 28 ოქტომბრის არჩევნებში მიწათმოქმედთა კავშირის მიერ კანდიდატად დასახელებული? პრეფექტმა გვიპასუხა, რომ მას საკუთარი კანდიდატურა არ წამოუყენებია, ერთ-ერთმა პიროვნებამ დაასახელა, მაგრამ ეს მისი თანხმობისა და ნებართვის გარეშე მოხდა. მან ამის შესახებ არაფერი იცოდა და მხოლოდ 12 ოქტომბერს შეიტყო გაზეთიდან, როდესაც სიები გამოქვეყნდა. აგრარული კავშირის წევრი არასოდეს ყოფილა. ჩვენს რეპლიკაზე, რომ თუ იგი წინააღმდეგი იყო არჩევნებში მიწათმოქმედთა კავშირის კანდიდატად მონაწილეობისა, რატომ ოფიციალურად არ განაცხადა პროტესტი, რატომ გაზეთში არ გამოაქვეყნა თავისი უარი (12-დან 28-მდე საკმაო დრო იყო), პრეფექტმა ლოგიკური, დასაბუთებული პასუხი ვერ გაგვცა, მხოლოდ გაიმეორა, რომ არც ერთი პარტიის წევრი არ არის, არც ყოფილა და არც იქნება.

ჩვენ ვთხოვეთ მოეთხრო, თუ როგორ გახდა გარდაბნის რაიონის პრეფექტი. გვიპასუხა, რომ მისი დანიშვნა სრულიად შემთხვევით მოხდა. ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში არსებობს ჰელსინკის ჯგუფი, რომელთანაც ძალზე ახლო ურთიერთობაშია, ამ ჯგუფთან ერთად იყო შესული ბატონ ზვიად გამსახურდიასთან სრულიად სხვა საკითხის გამო. შეხვედრის დროს იყო ლაპარაკი, თუ ვინ დაენიშნათ გარდაბნის პრეფექტად და ჰელსინკის ჯგუფის წევრებმა მისი კანდიდატურა დაასახელეს. ამის მერე გაიკითხეს ვინ ვიყავი, რა ოჯახიდან, როგორ ვიცხოვრე (კომკავშირელიც კი არ ვყოფილვარ, არათუ პარტიის წევრიო!) და ასე დამნიშნესო. შემდეგ დაამატა, რომ მის ცხოვრებაში ამაზე მეტი უბედურება არაფერი ყოფილა, ძალზე მძიმე დატვირთვაა, სულაც არ უნდა პრეფექტობა, ნეტავი მართლა მოხსნან, მაგრამ საქართველოსთვის იგი მზადაა სიცოცხლე გაიღოს და რაც გასაკეთებელია, იმას გააკეთებს!

ბატონმა იოსებმა პრეფექტს გადასცა სია, რომელიც გარდაბნელებმა უზენაეს საბჭოში ჩამოიტანეს — სვანური წარმოშობის თანამდებობის პირთა სია. პრეფექტმა განაცხადა, რომ ამათგან უმეტესობა მას არ დაუნიშნავს, რომ ეს ხალხი ადგილებზე დახვდა და რომ მას არც მორალური და არც იურიდიული უფლება არა აქვს ეს ხალხი მოხსნას. მთავარია ნორმალურად იმუშაონ და რა განსხვავებაა, სვანია თუ ქართლელიო. 3-4 კაცი დავნიშნე მხოლოდო. უმეტესობას მე ვერც დავნიშნავდი, ეს ჩემს უფლებებში არ შედისო (მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ პრეფექტის რეკომენდაციის გარეშე რაიონში თანამდებობაზე დანიშვნა, როგორც წესი, არ ხდება).

ამ სიის გარშემო საუბარმა დიდხანს გასტანა. პრეფექტმა განაცხადა, რომ ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, სვანი არ დავნიშნო, ახლობელი არ დავნიშნო, ვიღაც ხომ უნდა დავნიშნოო! სვანეთიდან ჩამოსახლებულებს შორის ძალზე ბევრია უმაღლესი განათლების მქონე და როდესაც ჩემთან სპეციალისტები მოდიან, შავ მუშებად და მწველავებად როგორ გავუშვაო!

საუბრის შედეგად ბატონმა იოსებ ბარათაშვილმა დაასკვნა, რომ საკადრო პოლიტიკაში დაშვებულია შეცდომები, აშკარად შეინიშნება დისპროპორცია ჩამოსახლებულთა და ადგილობრივთა თანამდებობებზე დანიშვნა-განაწილების საკითხში.

შეკითხვაზე, თუ რატომ ჰქვია გარდაბნის ცენტრალურ ქუჩას დღემდე ლენინის სახელი, პრეფექტმა გვიპასუხა, რომ ტრაფარეტები შეკვეთილი აქვს (ეტყობა, ფირნიშებს გულისხმობდა) და რომ უბრალოდ, ჯერჯერობით მათი დამზადება ვერ მოხერხდა. მთავარ ქუჩას დავით აღმაშენებლის სახელს დავარქმევო. შეკითხვაზე, არსებობს თუ არა ამის შესახებ პრეფექტურის ოფიციალური გადაწყვეტილება, გვიპასუხა — პრეფექტურის არა, მაგრამ ჩემი განკარგულება არსებობსო!

ეს პასუხი დამაკმაყოფილებლად რამდენ შეიძლება ჩაითვალოს, მკითხველი თავად განსჯის. ნუთუ ქუჩისთვის სახელის შეცვლას თვეები სჭირდება?!

პრეფექტის მოადგილეს ქ-ნ მზია გულბანს ვკითხეთ, თუ რა განათლება აქვს მიღებული. მან ამაყად გამოაცხადა, რომ ამჟამად სწავლობს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, დამთავრებული აქვს ბიზნესის უმაღლესი სკოლა საგარეო ეკონომიკის სპეციალობით და წარმოგვიდგინა დიპლომი, რომელიც გაცემულია 1991 წლის ივლისში. თავისთავად ეს ფაქტი ძალზე საეჭვოდ გამოიყურება, ერთწლიანი ბიზნესის სკოლა თუ მართლა ახლა ივლისში დაამთავრა, ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში როდისღა მოასწრო ჩაბარება?! აგრეთვე საინტერესოა, როგორ უთავსებდა და უთავსებს ქ-ნი მზია სწავლა-განათლებას პრეფექტის მოადგილის პასუხსაგები და მძიმე მოვალეობის შერსულებას?!

პრეფექტის მოადგილემ წარმოთქვა „მხურვალე“ სიტყვა, თუ როგორ თავგანწირულად ებრძვის რაიონის ახალი ხელმძღვანელობა ძველ მაფიას (ანუ იმათ, ვინც უჩივის), როგორი ერთგულია ეროვნული ხელისუფლებისა და პირადად ბატონი პრეზიდენტის. ბატონ ზვიადს ერთხელ ვთხოვეთ კომპეტენტური კომისია გამოეგზავნა რაიონში, რათა ჭორებსა და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას ბოლო მოეღოსო.

პრეფექტი და მისი მოადგილე ჩვენთან საუბარში იმ ადამიანების დისკრედიტირებას შეეცადნენ, ვინც მათ უზენაეს საბჭოში უჩივის, თანაც, რბილად რომ ვთქვათ, მორალური თვალსაზრისით ერთობ საეჭვო ხერხებით.

ერთ-ერთი ქალბატონი რომ ჩივის საბავშვო ბაღს მანქანა წაართვესო, ჯერ ერთი, ბაღს მანქანა არ ეკუთვნის (თანაც, ახლა ზაფხულია), მაგრამ რაც მთავარია, ეგ პიროვნება ბუნებით პათოლოგიურია... (ვითომ ძალიან ერიდებოდათ ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ მოახერხეს მაინც!). გამოგვიტანეს საქაღალდე, — ეს მისი საქმეა, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს უჩივლა ქმარმაო!

ამაზე ქალბატონმა თინათინ შელეგიამ განაცხადა, რომ ქალბატონ გულნაზის ორი შვილი ჰყავს და ეს ბინძური საქმე შეთითხნილია, რადგან იგი ებრძოდა კომუნისტებს და რომ გარდაბნის რაიონში არსებული „სარკოფაგის“ გაუქმება, პირველ რიგში, მისი დამსახურებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ქალბატონი გულნაზი თავის დროზე მე შევახვედრე ბატონ მერაბ კოსტავასო.

ბ-ნ ალბერტ ხმალაძეზე პრეფექტმა თქვა — 3 წელი იწვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ამაზე ბატონმა ზაურ ქობალიამ შენიშნა, თუნდაც ასე ყოფილიყო, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ყველამ ვიცით კომუნისტების დროს რამდენი ჯანმრთელი ადამიანი ჰყავდათ ფსიქიატრიულებშიო. შემდეგ პრეფექტმა განაცხადა, ხმალაძე ადვაძის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და ახლა პრეზიდენტთან ბედავს მისვლას, ჩემზე საჩივრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერსო?! როგორც ვიცით, პრეფექტის არც ეს „ბრალდება“ შეესაბამება სინამდვილეს (ბატონმა ალბერტმა, უნდა აღნიშნოს, ჩვენზე უაღრესად სიმპათიური შთაბეჭდილება დატოვა).

ბ-ნ თამაზ გოზალიშვილზე პრეფექტმა განაცხადა, დამნაშავეა, საერთოდ დასაჭერი იყოო, (თუ ასეა, რად არ დააპატიმრებინა, ნეტავ?).

ქ-ნ ზენარ ნოზაძეზე პრეფექტმა თქვა — ისეთია, მეზობლები ითხოვენ სოფლიდან მის გასახლებასო (ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ პრეფექტმა, რომელიც თვითონაა მისი მეზობელი, თავისი ნათესავები აუმხედრა ქალბატონ ზენარს). სხვათა შორის, ქ-ნი ზენარ ნოზაძე 9 აპრილს დაღუპული მამუკა ნოზაძის მამიდაა, და ამჟამად მის ობოლ ბავშვებს ზრდის.

ის, თუ რა მეთოდებით ებრძვიან პრეფექტი და მისი მოადგილე თავის „ოპონენტებს“, მე მგონი, თავისთავად მრავლისმთქმელია და მათ სრულიად გარკვეულად, სავსებით ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს.

ჩვენს შეკითხვაზე, ზოგადად რა მდგომარეობაა რაიონში, ხომ არ არის ეთნოკონფლიქტის საშიშროება, პრეფექტმა ბრძანა, რომ გარდაბნის რაიონი დღეს შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მშვიდ რაიონად საქართველოში, მაგრამ შემდეგ ბატონმა კოტე ფირცხალავამ განაცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისაგან მიღებული ცნობებით, რაიონში ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა. აზერბაიჯანელები ადგილობრივ ქართველებს ეუბნებიან, თქვენ გამოდით სვანეთიდან ჩამოსახლებული ქართველების წინააღმდეგ და მხარს დაგიჭერთ, ჩვენ არ გვინდა დავიწყოთ, ანტიქართულ მოქმედებაში რომ არ ჩაგვითვალონო.

პრეფექტმა განაცხადა — სამართალდამცავ ორგანოებთან მას კავშირი გაწყვეტილი აქვს (!), და არავითარ ინფორმაციას არ იღებს. საქმე ისაა — სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელობა იძულებულია უშუალოდ პრეზიდენტს გაუგზავნოს ინფორმაცია მოხსენებითი ბარათების სახით, რადგან მათ არ სურთ, რომ პრეფექტისა და მისი ხალხის უკანონო მოქმედება დაბრალდეთ.

დაბოლოს, საგანგებო კომისიის წევრებმა ფინანსურ სფეროში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს. დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ ვინმე რუბენ ნასყანს მის საბანკო ანგარიშზე ნახევარი წლის განმავლობაში რუსთაველის საზოგადოების მიგრაციის ფონდიდან ჩაერიცხა სულ 450000 მან. სხვათა შორის, რუბენ ნასყანი კოოპერატივ „აისში“ მუშაობს...

ა. წ. აპრილში გაცემულ იქნა ნაღდ ფულად 40000 მან, ხოლო უნაღდოდ და უსამართოდ გადაირიცხა 70000 მან, და 100000 მან ვინმე ნიკარაძეს ჩაერიცხა. გაურკვეველი ოპერაციების ჩატარების გამო აღნიშნულ ანგარიშებზე ყადაღა იქნა დადებული.

1990 წლის 1 ივნისიდან 1991 წლის 1 ივლისამდე კოპერატივ „დილას“ მიერ რეალიზებულია 330234 მანეთის მზა პროდუქცია, აქედან 258677 მანეთის მზა პროდუქცია ანუ მთელი პროდუქციის 77,3% რეალიზებულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკა განიცდის დიდ ეკონომიკურ სირთულეებს, რეალიზებული პროდუქციის მოგებიდან (49025 მანეთიდან) გადასახადის განაკვეთი 35% შეადგენს (17159 მანეთს), რაც დღემდე არ არის გადარიცხული ბიუჯეტში.

კოოპერატივი „ნინო“, რომლის თანამშრომელია, სხვათა შორის, პრეფექტის მოადგილე მზია გულბანი, წესდების მიხედვით სამუხრუჭე სისტემებს და პლასტმასის პროდუქციას აწარმოებს, მაგრამ მას ნება დართეს რესპუბლიკის გარეთ ორი ტონა ჩაი გაეტანა(!). 26 ივნისს პრეფექტურაში შემოვიდა კოოპერატივის განცხადება, რასაც იმავე დღეს რეზოლუცია დაადეს, 27 ივნისს გასცეს საშვი და უკვე ამის მერე, 28 ივნისს კოოპერატივის წესდებაში ცვლილებები შეიტანეს — გაცვლითი ოპერაციების უფლება მიანიჭეს. კოოპერატივის ფუნქციის შეცვლა, წესით და კანონით, სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით ხდება. კომისიის სხდომები თვეში ერთხელ იმართება. ჩატარდა თუ არა ამ შემთხვევაში კომისიის სხდომა, საერთოდ გაუგებარია, და რაც ყველაზე საინტერესოა, პრეფექტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა — საქმის კურსში არა ვარ, არაფერი ვიციო(!).

გაირკვა, რომ გარდაბნის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი, წერედიანი, სამსახურში 2–3 დღით აფორმებდა სვანეთიდან ჩამოსახლებულებს, აძლევდა მათ სესხს და შემდეგ ანთავისუფლებდა (მაგ. ვინმე იამზე ჯაფარიძეს კრედიტის სახით მისცეს 4000 მან). ასე გასცეს ფული 22 კაცზე, რომლებმაც წესით ეს ფული 2 წლის შემდეგ სახელმწიფოს უნდა დაუბრუნონ, მაგრამ მიდი და ეძებე მათი ასავალ-დასავალი 2 წლის შემდეგ!

ამგვარი დარღვევები საკმაოდ აღმოჩნდა (ყველას არ ჩამოვთვლი), მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად. ცხადი გახდა, რომ გარდაბნის რაიონში კანონის დარღვევამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. რატომღაც აგროკომბინატ „გარდაბანი“-ს გენერალურმა დირექტორმა დახმარების სახით გადაურიცხა 20000 მანეთი განათლების განყოფილების გამგეს ჯობე ონიანს, რომლის ორი ვაჟიშვილი „მხედრიონის“ წევრია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას — ფინანსურ სფეროში უხეში დარღვევები, საკადრო პოლიტიკაში დაშვებული შეგნებული შეცდომები და პრეფექტის კონფლიქტი სამართალდამცავ ორგანოებთან, ალბათ, საკმარისი მიზეზია, რათა რაიონის მესვეურთა შეცვლა-არშეცვლის საკითხი გადაიჭრას, იმისდა მიუხედავად, რომ ბატონმა პრეფექტმა „გაგვაფრთხილა“ — ღმერთმა ქნას, მართლა გამანთავისუფლონ, მაგრამ იცოდეთ, ჩემი წასვლა დიდ არეულ-დარეულობას გამოიწვევს რაიონში, ეს მე პრეზიდენტსაც განვუცხადე ოფიციალურადო...

**ირაკლი ლომოური**

**P.S.** ოთხშაბათს, 31 ივლისს, როდესაც წერილს სტამბაში აწყობდნენ, რედაქციაში მობრძანდა ორი პიროვნება (მათი ვინაობა ჩვენთვის უცნობია), რომლებსაც რედაქტორის ნახვა სურდათ გარდაბნის შესახებ არსებული წერილის თაობაზე. რედაქტორი ადგილზე არ იყო, მათ პასუხისმგებელი მდივანი დახვდა, მოგვიანებით კი შევიტყვეთ, რომ ხსენებული პიროვნებები პუბლიკაციის ერთ ნაწილს გაეცნენ... სტამბაში (მთელი წერილის წაკითხვის საშუალება მათ არ მისცა ლინოტიპისტმა!)

წინა დღით, სამშაბათს რედაქტორს ეწვია ქ-ნი მზია გულბანი ახალგაზრდა ქალის თანხლებით (მოგვიტევოს, ჩვენ არც მისი ვინაობა ვიცით). ქ-ნ მზიასაც გარდაბნის შესახებ არსებული მასალის წაკითხვის სურვილი ამოძრავებდა. სურვილი ვერ დავუკმაყოფილეთ, რის გამოც ქ-ნი მზია გაგვინაწყენდა და განგვიცხადა, რომ ამ წერილის დაბეჭდვა დიდ არეულობას გამოიწვევს და გაზეთსაც უსიამოვნება შეხვდებაო.

გვაინტერესებს: 1. რას ეფუძნება ხსენებული პიროვნებების უტიფრობა და წრეგადასული თავდაჯერებულობა?

2. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ იწყობა საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში (გამომცემლობის დირექტორი ბ-ნი ვ. ეხვაძია). მიაჩნიათ თუ არა გამომცემლობისა და სტამბის მესვეურთ, რომ, სხვა მრავალთან ერთად, ისინი მოვალენი არიან უცხო პირთა ხელყოფისაგან დაიცვან სტამბაში არსებული მასალები?! მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე თვის წინ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი და რედაქციის სხვა თანამშრომლები ვერ ახერხებდნენ არათუ სტამბაში, საერთოდ გამომცემლობის შენობაშიც კი დაუბრკოლებლად შესვლას (სულ რამდენიმე დღის წინ კარისკაცმა ხაშვი მოსთხოვა გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს, ბატონ გიგლა აბდალაძეს, რომელიც 30 წელია გამომცემლობაში მუშაობს).

გამომცემლობის მესვეურთაგან კატეგორიულად მოვითხოვთ პასუხს, თუ ვის ინტერესებს იცავენ ისინი და მათის მხრიდან „სამშობლოს“ მახსურება მხოლოდ გამომცემლობის სახელის შეცვლით ამოიწურება თუ არა?!

# ვინა ხართ თქვენ, ბატონო მიშველაძე!

**ბ-ნო რევაზ!** წავიკითხე რა 13 ივლისის გაზეთ „ცხოვრებაში“ ქ-ნ ლანდა მასხულიას დიალოგი თქვენთან, „მოვლენები ცხელ კვალზე“, დამებადა სურვილი გამომეთქვა ჩემი მოსაზრება თქვენი ზოგიერთი ნათქვამის გამო. თუ ჩემი ტონი მეტწილად დაარღვევს ჟურნალისტის ეთიკას, მე წინასწარ გიხდით ბოდიშს, რადგან ჟურნალისტი არ გახლავართ.

ერთი კი მინდა გულახდილად გკითხოთ: ვის მხარეზე ბრძანდებით ბ-ნო რევაზ, მართლა ქომაგობთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, თუ ჯერ კიდევ უკმევთ გუნდრუკს ძველ დროს — 70 წლიან სოციალისტურ მონობას პლიუს 130-წლიან რუსეთის ბატონობას საქართველოში. ორივე შემთხვევაში ხომ „ველიკორუსულ შოვინიზმთან“ გვაქვს საქმე.

გასაკვირია, თქვენ რომელმაც დაწერეთ XX საუკუნის კლასიკური „შედევრი“ — „დახვრეტამდე ერთი წუთი რჩება“, და ყოველი შემთხვევისათვის ასე ბრძნულად განსჭვრიტეთ ჩვენი ერისა და მისი ლიდერის ბედი (ღმერთმა ნუ ქნას და არ ეღირსოს საქართველოს), თქვენი საყვარელი იმპერიის მობრუნებაში, რატომ არ წინასწარმეტყველებთ ბულგარელ ქ-ნ ვანგასავით, ან რად არ იწყებთ მისნობა-მარჩიელობას, ეს ხომ გაცილებით მეტ შემოსავალს მოგცემდათ, ვიდრე გაზეთი „ცხოვრება“ და საძირკველგამოთხრილი და წაქცეული კომუნისტური პარტია გიხდით, ბ-ნო რევაზ! მაგრამ თქვენ ხომ თქვენს მოვალეობად თვლით მიეშველოთ ვინმეს დროულად, გვერდში ამოუდგეთ, გაამაგროთ. თქვენი გვარის ფუძეც ხომ სიტყვა „შველა“, „მიშველება“-საგან შესდგება. და აი, ნიღაბაფარებული თქვენ ორ კურდღელს იჭერთ, „გვერდში უდგეხართ ეროვნულ მოძრაობას“ და ყოველ შემთხვევაში რეზერვსაც იტოვებთ, ვინ იცის როდის დაგჭირდებათ. დიახ, თქვენ ტიპიური წარმომადგენელი ბრძანდებით იმ „ინტელიგენციისა“, რომელიც განუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ოღონდ იმ გაგებით, რომ უფლისწულ მოძრაობამ ერთი და აღამაღლებს მეორეს. ზაზა მარტვილელის ენით რომ ვთქვათ: „ნაადრევია შენი ყივილი, ჯერ ქვეყანა თავისუფლებისათვის მზად არ არის. ჯერ ოლაპათვირეს ისევ სძინავს. ესეც არ იყოს გარდამავალი თაობა სულიერად უკვე წამხდარია და ვერ გამოგვყვებაო“. გენიოსი თუ არა ბრძენი მაინც ბრძანდება თქვენი ზაზა მარტვილელი. (გვარიც რომ წამებულის შეურჩიეთ). უცადოს მან სანამ რუსეთი ლანგრით არ მიართმევს თავისუფლებას. ან თქვენ რატომ თვლით გარდამავალ თაობას სულიერად წამხდარად, თქვენ საკუთარი თავი გყავთ მხედველობაში, თუ?!.

კმარა ამდენი ორპირობა, ფარისევლობა, ნიანგის ცრემლების ღვრა, ნუ თამაშობთ „გაბედული, მიგნებული, ღრმააზრიან მიხვედრილი, მიმტევებელი, დამრიგებელი, გონივრული, (თქვენი მშობლიური ქუთაისელის გრიგოლ რუხაძის სიტყვებია, თქვენს ნოველაზე თქმული. ღმერთო, ალბათ, ამდენ ქებას თვით დიდ ილიასაც არ ეტყოდნენ), პატრიოტის როლს. ისე კი მიკვირს, თქვენ ასეთი დიდი დიდაქტიკოსი და ჭკუის მქონე პიროვნება, ისტორიამ კომენსკის თუ არა მაკარენკოს მაინც რატომ არ შეგადარათ. ნუ ეწევით სპეკულიაციას, არ გინდათ! თქვენ რომ გაღიმებულნი გხვდებოდნენ ჩვენი ყოფილი ლიდერები თავიანთ კაბინეტებში, ნუ გავიწყდებათ, რომ ისინი მიუწვდომელნი რჩებოდნენ სწორედ იმ შავადშემოსილი დედებისათვის, მიუწვდომელნი იყვნენ ნებისმიერი მოქალაქისათვის. თქვენ ჩემზე კარგად იცით ეს, და ისიც იცით, იგივე ლიდერები იმავე კაბინეტებში ამუშავებდნენ ათასგვარ ვერსიებს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, აწ გარდაცვლილ ბ-ნ მერაბ კოსტავას ფიზიკური განადგურებისათვის. სწორედ იმავე კაბინეტიდან არ გაიცა უდანაშაულო ნაზი შამანაურის მოკვლის ბრძანება?-

რატომ მაშინ არ იმაღლებდით ხმას, პომპეზური დღესასწაულების წინააღმდეგ, როდესაც მილიონები იხარჯებოდა ჩვენი მკვლელებისა და დამმონებლების მიღებასა და შეხვედრა-ბანკეტებზე. დღეს კი აკრიტიკებთ ჩვენი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს. მიკვირს ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას რატომ არ ახსენებთ. დღეს მისი კრიტიკაც ხომ მოდაშია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, თუ დღეს საქართველოს ცოცხალი ჰყავს მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ბ-ნი ზვიად გამსახურდია, ამაში ლომის წილი სწორედ მანანა გამსახურდიას მიუძღვის.

თქვენ კი, ასეთ „დიდ მწერალსა და ერის ქომაგს“, არ შეგფერით ასეთი დაწვრილმანება.

არ მოგწონთ, რომ გააძევეს ლექტორ-მასწავლებლები უმაღლესი სასწავლებლებიდან, მაგრამ რატომ გავიწყდებათ, რომ ეს გაძევებული დოცენტები, თუ პროფესორები, ნახევარზე მეტი ნაყიდი დიპლომებითა და მამიკო-ბიძებით არიან კათედრებზე მოხვედრილნი და გარდა თავისმოჭრისა, არავითარი მეცნიერული სიკეთე არ მოაქვთ ჩვენი ერისათვის. მთკალათდნენ უმაღლესებში ფულის საშოვნელად და გასამდიდრებლად. ნუ ხუჭავთ თვალებს ამაზეც, ეს ყველამ ვიცით, რა საშინელი სენით არის დაავადებული ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ.

ბოლოს კი ჩემს, წერილს დავამთავრებ თქვენივე სიტყვებით: „ღმერთო, ღმერთო სადა ხარ! ამ ნოველის ავტორს მაინც რაღად აჰკიდე ამდენი ცოდვა, რაღა მას უნდა დაეწერა ეს ამაზრზენი უკანასკნელი სტრიქონები!“ ღმერთმა ქნას, მართლაც გულწრფელი იყოს თქვენს მიერ ცოდვის მონანიება ჩვენი ერის წინაშე და უფალმა შეგინდოთ, რომ ჭეშმარიტად უკანასკნელი ყოფილიყოს თქვენი ამაზრზენი სტრიქონები. ამინ.

**დალი გეგეჭკორი-გოგავა.**

**რედაქტორისაგან:** როდესაც ქალბატონმა დალი გეგეჭკორი-გოგავამ ზემოთდაბეჭდილი წერილი რედაქციაში მოგვიტანა, ჩვენ უარი ვუთხარით მას დაბეჭდვაზე. ვინაიდან — 1. მიგვაჩნია, რომ ბ-ნი რ. მიშველაძის მიმართ პრესა და საზოგადოების ნაწილი ისედაც მოჭარბებულ ყურადღებას იჩენს, რაც ამ პიროვნებისათვის მეტად დიდ პატივად მიგვაჩნია.

2. არ მაქვს ბედნიერება უშუალოდ ვიცნობდე ბ-ნი რ. მიშველაძის ბოლოდროინდელ ოპუსებს (ვერც მისი ადრინდელი თხზულებების ზედმიწევნით ცოდნით დავიკვეხნი), მაგრამ ის გარემოება, რომ დღესაც ბ-ნი რ. მიშველაძისაგან განსხვავებული თვალსაზრისი და პოზიცია გვაქვს, დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს მეც და მთელს რედაქციასაც. ამდენად, არც სადაო გვაქვს მასთან რაიმე.

წერილის დაბეჭდვა კი იმან განაპირობა, რომ არც ერთმა სხვა რედაქციამ (ქალბატონმა 8 რედაქციას მიმართა) წერილი არ მიიღო, იმ მიზეზით, რომ... არ ჰვინდა მაგის გადაკიდებაო(!!!).

# კვლევის ფოკუსშია ეროვნულ ურთიერთობათა საკითხები

თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების და, შესაბამისად, საზოგადოებათმცოდნეობის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ეროვნებათშორისი ურთიერთობების ოპტიმალური მოდელის თეორიული დამუშავება და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება სოციალური მართვის პრაქტიკისთვის.

ეროვნული საკითხი არა ახალ არის და ყოველთვის იდგა ის მეტნაკლები სიმწვავით ყოველ ეპოქაში, ყველა ერის წინაშე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თანმდევი მარადაქტუალური პრობლემა. იგი ისევე უკიდეგანო, ამოუწურავი, მარადცვალებადი და მარადგანვითარებადია, როგორც თვითონ საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანთა.

დღეს კიდევ უფრო აქტუალურია ჩვენთვის ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემის გააზრება, მისი მეცნიერული კვლევა. სწორედ ამ საქმეს ემსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა ცენტრი (დირექტორი გ. ჟორჟოლიანი). ცენტრში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა მისი მუშაობის მიმართულება. კვლევა-ძიებათა სფეროა თანამედროვე ეთნოსოციალური პროცესები საქართველოში, ეროვნულ ურთიერთობათა კონკრეტული აქტუალური საკითხების კვლევა.

უკვე მიღებული მეცნიერული კვლევის შედეგების ერთგვარი შეჯამება იყო ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მიმდინარე უაღრესად საინტერესო რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე თავი მოიყარეს ეროვნული ურთიერთობების სფეროში მომუშავე სხვადასხვა დარგის კომპეტენტურმა მეცნიერმა-სპეციალისტებმა. ისინი ორი დღის განმავლობაში ერთმანეთს აცნობდნენ თავიანთი კვლევის შედეგებს, ერთობლივად მსჯელობდნენ ყველა იმ პრობლემურ და მწვავე საკითხებზე, რომლებიც ასე აღელვებს დღეს მთელს ჩვენს საზოგადოებას.

კონფერენციაზე გამოტანილ საკითხთა ძირითადი სფეროები იყო ერი, კაცობრიობა, ღირებულება, კულტურა. ძნელია თითოეულ მოხსენებაზე მსჯელობა მოკლე საგაზეთო ინფორმაციაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თითოეულმა მომხსენებელმა საკითხის ღრმა ცოდნით, დღევანდელ სინამდვილესთან კავშირში წარმოადგინა თავისი კვლევის შედეგები და ინტერპრეტაციები. თითოეულ საკითხზე იმართებოდა საქმიანი სჯა-ბაასი, ზოგჯერ — მწვავე დისკუსიებიც.

ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის ეს კონფერენცია უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მის სამეცნიერო საქმიანობაში და ფართო რეზონანსიც ჰქონდა. ცენტრმა გამოსაცემად მოამზადა ეროვნული ურთიერთობის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი კრებული.

# პრობლემა

**ახლახან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საგამომცემლო საქმეთა დროებითი კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ბატონი გურამ პეტრიაშვილი. უკვე შედგა კომისიის მოსამზადებელი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ქალბატონი ირინე ტალიაშვილი, ქალბატონი მარიკა აბაიშვილი და ბატონი გივი ალხაზიშვილი.**

**ვბეჭდავთ გურამ პეტრიაშვილის წერილს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნულ სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებათა ერთგვარ შეჯამებას.**

# დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს...

კომუნისტური რეჟიმი მხოლოდ იმიტომ არაა საზარელი, რომ მილიონობით ადამიანის ფიზიკური განადგურება „თამაშად და უჩანს მღერად". მისი შემზარაობა იმაში უფროა, რომ ადამიანებს სულიერად ანადგურებს. ხოლო ის ამბავი, რომ ამ განადგურებულთ არ ანაღვლებთ თავისი მდგომარეობა და ხშირად ემაყებათ კიდეც, რომ სული გასრესილი აქვთ, სრულიად სერიოზულად გვაფიქრებინებს: კომუნისტები სატანის მსახურნი არიან. მხოლოდ სატანას შეუძლია ისე გამოათაყვანოს ადამიანი, რომ ბეჩავს გრძელი ლხინი ეგონოს თავისი მათხოვრული ფუსფუს-გაწამაწია.

ამ ცოტა ხნის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ჩატარებული რევიზიის შედეგები, პრესაში პირველად დადასტურდა, რაც ყველამ ისედაც იცოდა: რომ ქართული ხელოვნების მოღვაწენი უკანონო შემოსავლებს არ თაკილობენ. ისიც ყველამ იცის, რომ გამოქვეყნებული ფაქტები წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც გამოუქვეყნებელი დარჩა. ანალოგიური რევიზიები რომ ჩატარდეს შემოქმედებით კავშირებში და სხვა შემოქმედებით დაწესებულებებში, იმდენი ქართველი ხელოვანი აღმოჩნდება მანქანის, ბინის თუ ავეჯის ისეთი ურცხვი გადამყიდველის როლში, რომ ქუჩაში სალექი რეზინითა და წამწამების ტუშით მოვაჭრე ბოშა ქალები პატიოსნების განსახიერებად მოგვეჩვენებიან.

მერედა, არ აწუხებთ ამ დაცემულ ადამიანებს, რომ ხელოვანის ნათელი შარავანდედის მაგიერ ლაფში ამოთხვრილი ქუდები ჰხურავთ? არა, არ აწუხებთ. ძალიანაც კმაყოფილები არიან.

ყველა მურვან ყრუ და ჯალალედინი ერთად ვერ გვიზამდა იმას, რაც კომუნისტებმა დაგვმართეს.

ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს, როცა ხელოვან ადამიანს, რომლის მთავარი დანიშნულებაც სხვისი სულის გამშვენიერება-გასპეტაკება-ამაღლებაა, თვითონ უბადრუკი და გარყვნილი აქვს სული.

როცა უბადრუკობა და გარყვნილება ერთადაა, ამას მათხოვრობა ჰქვია. იმ მათხოვარს არა ვგულისხმობ, დავრდომილობის გამო რომ ხდება იძულებული იმათხოვროს. იმას ვგულისხმობ, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოწოდებითაა მათხოვარი.

მახსოვს ის გაოცება, ბავშვობაში პირველად რომ ვნახე ასეთი კაცი. არც მოხუცი იყო, არც არაფერი სტკიოდა, ურცხვად იღრიჭებოდა, თვალებს აცეცებდა და კი არ უცდიდა, როდის ჩაუგდებდნენ მანეთიანს გაწვდილ ქუდში, თვითონ ჰგლეჯდა ხელიდან. სამათხოვრო იმას არაფერი სჭირდა, რომ მოენდომებინა, ნახევარ ჰექტარს დაბარავდა დღეში და ფულს იმდენს იშოვიდა, აქეთ აჩუქებდა სხვას. მაგრამ მას არა სურდა შრომა.

აი, ეს გახლავთ ნამდვილი მათხოვარი: ადამიანი, რომელიც მათხოვრობს, არა იმიტომ, რომ იძულებულია, არამედ იმიტომ, რომ მოსწონს მათხოვრობა — უშრომელი, პარაზიტული ცხოვრება.

ასეთ სულით მათხოვრებად სურდა გადაექცია ყოველი ჩვენგანი კომუნისტურ რეჟიმს. სულით მა-

...ცხოვრებად... უბადრუკ და გარყვნილ არსებებად, რომელთაც არათუ ეთაკილებათ უშრომლად მოპოვებული მატერიალური კეთილდღეობა, არამედ სწორედ ასეთი მოსწონთ და სიამოვნებთ.

სატანის ხელი ჩანს იმაშიც, რომ კომუნისტები განგებ უწყობდნენ ხელს ცნებების აღრევას. მწერლები, მხატვრები თუ კინორეჟისორები ყოველგვარი შრომის გარეშე მანქანების გაყიდვით რომ ასიათასებს შოულობდნენ, ამაზე თვალს

...ხუჭავდა კომუნისტური სამართალი, ხოლო უშრომელ შემოსავლს არქმევდა, მაგალითად, იმას, თუკი უბრალო კაცი სიმწრით ნაყიდი მანქანით მგზავრს წაიყვანდა და ორიოდე მანეთს შემატებდა ოჯახის ღატაკ სალაროს.

ახლა საქართველოში აღარაა კომუნისტების ბატონობა. აღარ ვდღესასწაულობთ 25 თებერვალს და 7 ნოემბერს. და თუმცა კვლავ აქა დგას საბჭოთა ჯარი, ცხოვრების ბევრ სფეროში ფაქტიურად მივაღწიეთ დამოუკიდებლობას. ველარავინ ვერ გვებრძანებს კახეთში ვაზი გაჩეხეთ და სიმინდი დათესეთო. ჩვენი ნებაა, თუ სად რას



# შესაფერისი შენობა...

დღეს, როდესაც საქართველო თავისი ეროვნული აღორძინებისა და ჭეშმარიტი სუვერენული უფლებების, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზეა დამდგარი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ხალხის თვითმყოფადი, მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის მოვლის, შენახვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს.

ქართველი ხალხის მიერ შექმნილ კულტურულ ღირებულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ქართული კულტურისა და ინტელექტუალურ ღირებულებათა საგანძურს: V–XIX სს. ქართული ორიგინალური და თარგმნილი სასულიერო და საერო ლიტერატურის ძეგლებს, ისტორიული საბუთების კოლექციებს, გამოჩენილ ქართველ და კავკასიელ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა და მეცნიერთა პირად საარქივო ფონდებს.

ინსტიტუტი, როგორც ამ ეროვნული განძის მფლობელი, პირდაპირი მემკვიდრეა XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ქართველ მოღვაწეთა — ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, დ. კარიჭაშვილის, ე. თაყაიშვილის და სხვათა რუდუნებით დაარსებულ საზოგადოებათა სიძველეთსაცავებისა (საეკლესიო მუზეუმის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა), რომელთა ფონდები ერთ დროს თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში იყო თავმოყრილი. ინსტიტუტს აქვს ჯერ მუზეუმის განყოფილების სახით, ხოლო შემდეგ მისი დამოუკიდებლად არსებობის (1958 წლიდან) მანძილზე შექმნილი ფონდებიც.

სამწუხაროდ, სათანადო პირობების უქონლობის გამო, ხელნაწერთა ინსტიტუტი სრულად ვერ ავლენდა თავის შესაძლებლობებს. შენობა არ შეეფერებოდა მის დანიშნულებას. თავდაპირველად გათვალისწინებული კაპიტალური კედლები მინებით შეცვალეს, ამიტომ უკაცრიელ ადგილზე მდებარე შენობაში ხელნაწერთა დაცვა არსებული საშუალებებით საიმედოდ ვერ ჩაითვლებოდა.

გარდა ამისა, ზაფხულის პერიოდში საცავებიდან გამოტანილი ხელნაწერები ხვდებოდა სიცხეში, რაც იწვევდა ეტრატის დეფორმაციას, საფრთხეს უქმნიდა ხელნაწერთა უნიკალურ მოხატულობას. ამასთანავე, არსებულ საცავებში დიდი ხანია ფართის უქონლობის გამო აღარ ეტეოდა ჩვენი ეროვნული საგანძური.

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც შესანიშნავად იცის ხელნაწერთა ინსტიტუტის დანიშნულება და გასაჭირიც, გაითვალისწინა ყოველივე და ქართველი ხალხის საგანძურს მისთვის შესაფერისი ყოფილი „იმელის" შენობა გადასცა.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის შენობების შესახებ

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 28 ივნისის № 528 დადგენილების მე-3 პუნქტი, რომელიც ეხება საქართველოს ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის განთავსების საკითხს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის № 29-ში (ყოფილი „იმელის" შენობა).

აღნიშნული შენობა გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი ზ. გამსახურდია

თბილისი.
1991 წლის 23 ივლისი.

# გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" რედაქტორს

## ქალბატონ მარიკა აბაიშვილს

**რესპუბლიკის** პროკურატურამ კოლეგიის სხდომაზე განიხილა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი, „ყურადღებას ვთხოვთ ქალაქის და რესპუბლიკის პროკურატურას". „ჯაყოს ხიზნების" თანამედროვე ვარიანტი, ანუ „ანდერძი". განხილვას ესწრებოდა ავტორი, ქალბატონი ირინე ტალიაშვილი და წერილში მოხსენებული პირები.

მხარეთა საჩივრების და საქმეებში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზით გამოირკვა შემდეგი:

ქ. თბილისში, შირშოვის ქ. № 52-ში მოქ. ვ. ჯავახს ჰქონდა უპროექტოდ აშენებული საცხოვრებლად უვარგისი სახლი. აღმასკომის 1955 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით ვ. ჯავახს ნება დართეს აეშენებინა ახალი სახლი, ძველის დანგრევით. ვ. ჯავახი დაუკავშირდა თავის ნათესავს ვ. დუდაევს და დადო მასთან შინაური გარიგება უკანონოდ, რომ დუდაევი თავისი ხარჯებით ააშენებდა სახლს, რის შემდეგაც სახლსაც და ნაკვეთსაც თანაბრად გაიყოფდნენ. სახლის მშენებლობა დაიწყო 1955 წელს და დამთავრდა 1957 წელს. სახლი აშენდა პროექტის უხეში დარღვევით, ნაცვლად 4 საცხოვრებელი ოთახისა აშენდა 10. უკანონო გარიგების თანახმად ვ. ჯავახმა და ვ. დუდაევმა სახლი და ნაკვეთი თანაბრად გაიყვეს, რის შემდეგაც ვ. დუდაევმაც თავისი ოჯახით დაიწყო ცხოვრება მითითებულ სახლში.

აღნიშნული უკანონო გარიგების გამო 1961 წლის 7 ივნისს მათ მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე: ვ. ჯავახს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180 მუხლით და ვ. დუდაევს 180-ე და 220-ე მუხლებით, 1962 წლის 27 დეკემბერს ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ დასაბუთებულად შეწყვიტა საქმე ამნისტიის აქტის გამო.

1983 წლის 12 ოქტომბრის თარიღით ვ. ჯავახმა მთელი თავისი ქონება, მათ შორის ქ. თბილისში, შირშოვის ქ. № 52-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნახევარი უანდერძა შვილიშვილს ლიდა ანატოლის ასულ თვალჭრელიძეს.

1986 წლის 2 აპრილს 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ვ. ჯავახი. როდესაც ლ. თვალჭრელიძემ სანოტარო კანტორას მოსთხოვა სამემკვიდრეო მოწმობა, ასეთის გაცემა სანოტარო კანტორამ შეაჩერა, ვინაიდან 1986 წლის 25 მაისს მოქ. ალექსანდრა ლეჟავამ ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში აღძრა სარჩელი ლ. თვალჭრელიძის მიმართ ანდერძის გაუქმების შესახებ, იმ მოტივით, რომ ვ. ჯავახი ანდერძის მიცემის პერიოდისათვის იყო მძიმე ავადმყოფი და არ შეეძლო ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის. ამავე დროს ა. ლეჟავამ მოითხოვა იურიდიული ფაქტის დადასტურება, რომ აწ გარდაცვლილი ვ. ჯავახი იყო მისი ღვიძლი და.

რაიონის სასამართლომ 1986 წლის 10 ივლისს ა. ლეჟავას განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ დააკმაყოფილა და ცნო ის ვ. ჯავახის დად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა 1987 წლის 9 იანვარს სწორად გააუქმა ეს გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ იურიდიული ფაქტის დადგენა უნდა განხილულიყო ანდერძის გაუქმების საკითხის განხილვასთან ერთად. პრეზიდიუმმა მართებულად აღნიშნა, რომ ა. ლეჟავა 1939 წლიდან იყო გაშვილებული და სასამართლოს უნდა ემსჯელა, ხომ არ ჰქონდა მას დაკარგული უფლებები სამემკვიდრეო ქონებაზე.

1987 წლის 8 მაისს, საბურთალოს რაიონის სასამართლომ, აცილების წესით, დააკმაყოფილა ჩუღურეთის რაისაბჭოს აღმასკომის სარჩელი და შირშოვის ქ. № 52-ში მდებარე სახლი ჩარიცხული იქნა კომუნალურ ფონდში, რაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო კოლეგიის მიერ.

ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ 1987 წლის 30 სექტემბერს შეწყვიტა ა. ლეჟავას განცხადებასთან დაკავშირებით საქმის წარმოება, ვინაიდან ის გაშვილებული ყავდათ მშობლებს, ასევე უარყოფილი იქნა ა. ლეჟავას სარჩელი ანდერძის გაუქმების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ 1987 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქმეზე გააუქმა გადაწყვეტილება ანდერძის გაუქმებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. გაუქმებას საფუძვლად დასაბუთებულად დაედო ის გარემოებები, რომ არ იყო გარკვეული, შეეძლო თუ არა მოანდერძეს ანდერძის დადებისას ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის და ასევე, სახლი წარმოადგენდა . თუ არა ანდერძის ობიექტს, თუ ის კომუნალურ ფონდში იყო აღრიცხული.

1988 წლის 23 სექტემბერს დიდუბის რაიონის სასამართლომ აცილების წესით ხელახლა განიხილა სარჩელი ანდერძის გაუქმების შესახებ და საქმის წარმოება შეწყვიტა, იმ საფუძვლებით, რომ:

1) ლეჟავა არ წარმოადგენდა მოანდერძის ნათესავს და არ ჰქონდა მას დავის უფლება;

2) სახლი წარმოადგენდა უკანონო ნაგებობას, რომელიც ჩარიცხული იყო კომუნალურ ფონდში და მასზე ანდერძის მოთხოვნები ვერ გავრცელდებოდა.

ასეთ პირობებში, სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები, რომლებიც დღეს ძალაშია, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარეობენ და არ არის საფუძველი მათი გაპროტესტებისათვის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წერილში მოტანილი ფაქტობრივი გარემოებების დიდი ნაწილი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი.

საგაზეთო წერილში უსწოროდ იყო აღნიშნული, რომ ვ. ჯავახის სახლი მშენებლობის დამთავრებისთანავე ტექბიუროს მიერ აღრიცხული იყო პირადი საკუთრების სახლად. აღნიშნული სახლი 1957 წლიდანვე აღრიცხული იყო როგორც უკანონო ნაგებობა. ე. ი. ის არ წარმოადგენდა არც ვ. ჯავახის და არც სხვის პირად საკუთრებას და ამიტომ არ შეიძლებოდა მისი გასხვისება. სახლი პროექტის უხეში დარღვევის გამო იქნა ცნობილი უკანონოდ, სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე. მის პირად საკუთრებად აღრიცხვაზე უარი თქვა ტექინვენტარიზაციის ბიურომ, რის საფუძველზეც აღმასკომმა სარჩელი აღძრა სასამართლოში უკანონო ნაგებობის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის შესახებ. აღმასკომი უფლებამოსილი იყო აღეძრა ასეთი სარჩელი. სასამართლომ დანიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც სახლი ნამდვილად წარმოადგენდა უკანონო ნაგებობას, არც ერთი ოთახი არ შეესაბამებოდა პროექტის მოთხოვნებს და ეს დაედო საფუძვლად უკანონო სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვას. ასეთ ვითარებაში, პროკურატურის მუშაკების დადანაშაულება იმაში, რომ სპეციალისტებმა სახლი ცნეს უკანონო ნაგებობად, უმისამართო ბრალდებაა.

წერილში ასევე არასწორად არის ხაზგასმული, რომ ვ. დუდაევი ვ. ჯავახის მიერ მხოლოდ ხელოსნად იყო მოწვეული. თვითონ ვ. ჯავახის მიერ არის სასამართლოში დადასტურებული, რომ ვ. დუდაევი არის მისი ბიძა — დედის ძმა, რომელსაც შეუთანხმდა, რომ ის თავისი თანხებით ააშენებდა სახლს მის ნაკვეთზე და შემდეგ თანაბრად გაიყოფდნენ. ამ შეთანხმების შემდეგ, სახლის აშენებამდე ორი წლით ადრე, ვ. დუდაევი საცხოვრებლად გადავიდა ვ. ჯავახთან.

რაც შეეხება თვალჭრელიძისათვის ანდერძით დატოვებულ სხვა ქონებას, აუცილებელია, რომ ამ უკანასკნელმა მიმართოს სარჩელით სასამართლოს მისი კუთვნილი ნივთების დაბრუნების შესახებ, რაც მას დღემდე არ გაუკეთებია და რაზედაც მას განემარტა კოლეგიის სხდომაზეც.

კოლეგიამ ასევე იმსჯელა პროკურატურის მუშაკებისათვის წერილში მიცემული შეფასებების შესახებ. რა თქმა უნდა, რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკთა საქმიანობა, ისევე როგორც მთლიანად სამართალდამცავი სისტემის მუშაობა, არ არის დაზღვეული სერიოზული ხარვეზებისაგან. რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიაზე სისტემატურად იხილება საკითხები კანონის უხეში დარღვევების შესახებ და შექმნილია ამ მდგომარეობისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამასთან, ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ სამოქალაქო დავებში რესპუბლიკის და ქალაქის პროკურატურის მუშაკების დადანაშაულება და თანაც მათთვის ცილისმწამებლური იარლიყების მიწებება, საფუძველს მოკლებულია.

თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით და ალბათ უკეთ მოგეხსენებათ, რომ შეუმოწმებელ მასალებზე მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენელთა პრესის ფურცლებზე ლანძღვა სასიკეთოს არაფერს მოუტანს არც მართლმსაჯულებას და მით უმეტეს, არც პრესას. დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა ასეთ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდის, როცა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში არ არის აყვანილი, რაც ასე აწუხებს ჩვენს მოსახლეობას, იაფფასიანი, სენსაციური და შეუმოწმებელი მასალის გამოქვეყნებამ და უხამსი სიტყვებით დაუმსახურებელმა ლანძღვამ მართლმსაჯულების ორგანოების მუშაკების, არა მგონია ხელი შეუწყოს ჩვენს რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცებას.

გთხოვთ, ჩვენი პასუხი გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

პატივისცემით,

ვახტანგ რაზმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი

## გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ კორესპონდენტს ნანა დოლიძეს

ქალბატონო ნანა, წავიკითხე თქვენი წერილი გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 12 ივლისის ნომერში სათაურით „სვერელი სეთური“ და პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ იგი საგაზეთო სტატია კი არაა თავისი მასობრივი კულტურის მნიშვნელობით, არამედ ცილისმწამებლური პასკვილია არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ სვერის თემის საკრებულოს დეპუტატებისა და მთელი მოსახლეობისადმი.

თქვენს წერილს არავითარი კულტურული ღირებულება არ გააჩნია, გარდა პოლიტიკური სპეკულაციისა, რითაც თქვენ შეძელით მისი მოთავსება გაზეთში. სწორედ „მრგვალი მაგიდისა“ და პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტის სპეკულაციით მიაღწიეთ მის დაბეჭდვას გაზეთში, თორემ ვინც თქვენი წერილის შინაარსს გაიაზრებს, როგორ შეიძლება ასეთი შინაარსის — ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შემბღალავი წერილი — დაიბეჭდოს გაზეთში და ისიც დღეს. თქვენ ამ წერილით ავტორიტეტს უცემთ არა მარტო გაზეთს, არამედ იმ ინტელექტუალურ ძალას, რომელმაც სრულ თავისუფლებამდე უნდა მიიყვანოს საქართველო.

გაკვირვებული ვარ იმით, რომ ჟურნალისტმა როგორ უნდა იკადროს ისეთი უზუსტობა, ცრუობა და ცილისწამება, რომელსაც კადრულობთ თქვენ. რატომ არ იცით, რომ სიცრუე ვერ გადაიქცევა ჭეშმარიტებად როგორი სახითაც არ უნდა მოსდო იგი ქვეყანას.

მივყვეთ თქვენს წერილს პირველი კითხვით:

რედაქციაში თითქოს სიტყვიერად თუ წერილობით შეგატყობინეს, რომ „სოფელ სვერის“ მიდამოებში წაბლის ტყეები იკაფებაო, სვერის საკრებულოში 22 წევრიდან 18 ფუნქციონერი კომუნისტიაო, სოფლის მამა და მარჩენალი, სეთური — არქიფო, სკოლის დირექტორი — რეზო ბიწაძე — სოფლის სრულუფლებიანი გამგებელი და გლეხობას შორის მტრობის ჩამომგდებიაო“.

2. გაიგეთ თუ არა ამ შეტყობინების ავტორების ვინაობა?

3. რატომ არ დააზუსტეთ შეტყობინების სისწორე და თუ დააზუსტეთ რატომ წახვედით ნახიზნევის ტყეში და არა სვერის ტყეში. ნახიზნევი ხომ სოფელ თვალუეთს ეკუთვნის და არა სოფელ სვერს.

4. რატომ არ მიხვედით სვერის საკრებულოში? რომლის 22 დეპუტატიდან 10-ია კომუნისტი და არა 18, როგორც თქვენ წერთ. თუმცა ისინი, როგორც კომუნისტები, არცერთი აღარ ფუნქციონირებს, რადგან თვით პარტიამ დაკარგა თავისი ფუნქციონირება.

რატომ ცრუობთ, ლევან ურუშაძეს თქვენ კი არ დაავალეთ მეგზურობა, არამედ მისმა თანამეინახემ ერეკლე ცუცქირიძემ, როგორც ნათესავს, რის გამოც თქვენ ჭიათურიდან სვერში მიმავალი „ხრეშიანი და მტვრიანი გზით“ აღმოჩნდით არა ბატონი სერგო ღვალაძის ეზოში, როგორც ამას თქვენ წერთ, არამედ ერეკლე ცუცქირიძის ოჯახში. მეორე დილით შეუდექით ერეკლე და დავით ცუცქირიძეების ჩანაფიქრის განხორციელებას. ამიტომ არის, რომ ეგოისტური და მეშჩანური მიზნებით მოქმედი მომჩივნების ცილისმწამებლურ განცხადებებს კი არ ამოწმებთ, არამედ თქვენ კიდეც ამატებთ და ისე აქვეყნებთ გაზეთში. რატომ არ დააკვირდით ამირანისა და ერეკლეს განცხადებებს გზის მიზეზით რომ დაიწყეს. ნუთუ იმდენი არ გესმით, რომ გზისა და ხიდის მშენებლობა არ შედის სკოლის დირექტორის კომპეტენციაში და რომ გზისა და ხიდის პროექტის გადაკეთება ან შესწორება სკოლის დირექტორს არც შეუძლია და არც ევალება. და თუ მაინცდამაინც ეჭვი შეგეპარათ ჩემს ასეთ უფლებამოსილებაში, რატომ არ მიაკითხეთ ქ. ჭიათურის საგზაო სამმართველოს და გაარკვიეთ საქმის სინამდვილე, დარღვეულია თუ არა პროექტი?

ჩვენ სოფლის მშრომელებთან ერთად მართლაც გვინდოდა გზის გასწორხაზება, მაგრამ რადგან იგი დიდ სამუშაოს მოითხოვდა, საგზაო სამმართველომ სამუშაო შეასრულა დამტკიცებული პროექტის მიხედვით.

თქვენ რომ საქმის ვითარებას ჩაწვდომოდით, მაშინ ლევან ურუშაძის ცრუ ნათქვამსაც არ დაწერდით, რომ „ჯერ კიდევ 30-იანი და 40-იანი წლების მიჯნაზე აქ არსებობდა ზუსტად ასეთი სამანქანო გზაო“. ლევანმა რა იცის 30-იანი და 40-იანი წლები, როცა იგი დაბადებულია 60-იან წლებში. არსებული დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ პერევისა-სვერს შორის დღეს არსებული 8 მეტრი სიგანის გზა და ხიდი მდინარე საძალიხევზე აიგო 70-იანი წლების ბოლოს. თქვენ სინამდვილე არ გაინტერესებდათ, ქალბატონო ნანა, წინასწარ ყველაფერი დაგეგმილი იყო, თქვენ ჩემი პიროვნების შეურაცხყოფა გქონდათ მიზნად, როცა სვერში მობრძანდებოდით. ამიტომ არის, რომ თქვენი წერილის ტონითა და შინაარსით გზის რაობასა და ვარგისიანობას კი არა, გზაზე ხრეშის დაყრასა და მტვრის დადგომასაც მე მაბრალებთ. აწი, ალბათ, გზის მორწყვასაც მე დამაკისრებთ. მაგრამ აქ მაინც ერთი რამ არის საინტერესო: რომელი მანქანები აყენებდა ბუღს პერევისიდან სვერამდე, როცა მანქანისათვის 20 წუთის სავალია და ამ დროში კი არა, ერთ საათშიც თუ შეუვლის მანქანა მანქანას გვერდს საწვავის უქონლობის გამო.

ქალბატონო ნანა, მე ისიც კარგად ვიცი, რომ თქვენისთანა ჟურნალისტებს ყველაფერი ისე ეჩვენება, როგორც სურს. ამიტომ არის, რომ ჩვენი სკოლის სამსართულიანი ლამაზი შენობა „უსახო სკოლად“ მოგეჩვენა, ხოლო ბატონი სერგო ღვალაძის ეზოში დიდი მუხის ხე „უზარმაზარ კაკლის ხედ“. სწორედ ასეთი მოჩვენებებით მაბრალებთ, რომ თითქოს ბატონ სერგო ღვალაძეს მე „პერსონალური პენსია და დამსახურება გავუკეთე“. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ასეთ რამეს არავინ არ გეტყოდათ, მაგრამ თქვენ დაეჭვდით ამაში იმდენად, რამდენადაც ბატონი სერგოს ქალიშვილმა ჩემზე კარგი ილაპარაკა, რაც თქვენ ამ საქმის სანაცვლო გეგონათ. დაუშვათ კიდეც. რომ ვთქვათ მით უმეტეს, საქმეში უნდა გარკვეულიყავით, იქნებ მართლაც ამიტომ მაქებდნენ.

მე თვითონ ჩემი თავისთვის ვერ გამიკეთებია დამსახურება და ბატონ სერგოს რით გავუკეთებდი. ცრუობთ, აშკარად ცრუობთ, მას არც პერსონალური პენსია აქვს და არც რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. იგი ჩვეულებრივ შრომის პენსიას ღებულობს. რატომ არ გრცხვენიათ, როცა ასეთი ტყუილებისთვის ხარჯავთ გაზეთის ფურცლებს. ის ქალები, თქვენ რომ სკოლის დირექტორის ვინაობა ჰკითხეთ, სოფელ თვალუეთში, თვალუეთის კოლმეურნეობის მუშაკები არიან და არა სოფლის საბჭოს თანამშრომლები. ადამიანების ვინაობას ვერ არკვევთ, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია სოფლის საბჭოები აღარ არსებობს, ეს საბჭოური სტრუქტურები აღარ არსებობს. და თუ არა თქვენ, „მრგვალი მაგიდის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის თანამშრომელს, სხვამ ვინ უნდა იცოდეს ეს უკეთ, მაგრამ რას იზამ, ზერელობა, უზუსტობა, ხელაღებით პიროვნების ლანძღვა-განქიქება თქვენ არაფრად მიგაჩნიათ, მხოლოდ ვინც გაინტერესებთ, მათ ასიამოვნოთ.

საინტერესოა, თქვენ ჟურნალისტი ხართ თუ სეისმოლოგი. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 29 აპრილს ჭიათურაში 8-9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა იყო. თქვენ შესწორება შეგაქვთ და წერთ 6 ბალიანიო. კი, მაგრამ ეს ასეც რომ ყოფილიყო, სკოლის დირექტორი რა შუაშია. თქვენ, როგორც არაერთხელ დავრწმუნდი, აშკარად არ გესმით სკოლის დირექტორის ფუნქცია და ამ საქმეში მეტისმეტი დილეტანტი ხართ.

რატომ აცხადებთ ამირან სადუნიშვილს სოფლის მკვიდრად. ის ხომ ამ რამდენიმე წლის წინ ჩამოსახლდა სვერში სოფელ ტყემლოვანიდან. თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რაკი მის სადაურობას თქვენ თავად გაუსვით ხაზი, უფლება არ მაქვს, არ გაგისწოროთ — რატომ არ შეისწავლეთ მისი ვინაობა და არ გაარკვიეთ მისი ჩემს მიერ „დევნა“ სინამდვილეს შეეფერება თუ არა. იგი დევნილი კი არა, შესანიშნავად ცხოვრობს. ღმერთმა კარგად აცხოვროს, მას საკუთარი ავტომანქანა „ზილიც“ კი ჰყავს საკუთრებაში, მაგრამ არავის შურს. რატომ არ გაარკვიეთ სად მუშაობდა მისი მეუღლე, „გაუგდეს“ თუ არა სამუშაოდან ცოლი“. რატომ შეურაცხყოფთ სვერის თემის საკრებულოს დეპუტატებს, და, რაც მთავარია, ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული პარლამენტის მიერ ამასწინათ მიღებულ საარჩევნო კანონს, რომლის თანახმადაც სვერის საკრებულოს ხალხის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა საკრებულოს მდივნად აირჩია ახალგაზრდა ეკონომისტი გოჩა ცუცქირიძე და არ აირჩია სადუნიშვილის მეუღლე, ყოფილი სასოფლო საბჭოს მდივანი მარო სამხარაძე. ეს „გამოგდებაა“ თუ არჩევა ანუ დემოკრატიის დაცვა. რა შუაშია აქ ანტონიჩები და ალექსანდროვიჩები. ნუთუ თქვენ იმდენი არ გესმით, რომ სოფლის ხელისუფლება კი არ ინიშნება, ირჩევა და რომ მათი არჩევა ხალხის საქმეა და არა სკოლის დირექტორისა. რატომ ზუფასურებთ და ამცირებთ ხალხის როლსა და ავტორიტეტს. თქვენ, როგორც ჩანს, არც მიწის პატრონი იცით. არც გესმით რა წესით, როგორ და ვის მიერ იცემა მიწა. მიწის კანონიერება რომ არ ირღვეოდეს, ლევან ურუშაძეს არც მიწა უნდა მიცემოდა და არც სახლი უნდა აეშენებინა სვერში.

კანონისა და კანონიერებისაგან ასე შორს მდგომმა პიროვნებამ როგორ გინდათ იმუშაო გაზეთში.

რაც შეეხება ძმების დავით და ერეკლე ცუცქირიძეების განცხადებას, იმის შესახებ, რომ თითქოს მე „ტყის პროფესიონალი ქურდი ვარ“, ეს ჩემთვის არ არის გასაკვირი, რადგან მათ ტყის კი არა, შეიძლება ადამიანის ქურდობაც დამაბრალონ. ეს იმიტომ, რომ, ისინი 20 წელია გამუდმებით მიჩივოდნენ და მიჩივიან არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ყოფილი კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, ბრეჟნევთან, ტიხონოვთან და სხვებთან. მიჩივიან არა დანაშაულისათვის, არამედ პირადი ბოროტი ზრახვებისათვის, მას შემდეგ, რაც ცოლად შევირთე მათი მამის ბიძაშვილისშვილი, რომელიც ჩემს საუბედუროდ დედისერთაა და ჩემი სიმამრის გარდაცვალების შემდეგ ძმების ავადმყოფური სურვილის — (ხელში ჩაეგდოთ ჩემი სიმამრის ადგილ-მამული, რასაც ამჟამად კანონიერად ფლობს ჩემი უმცროსი შვილი) დაუკმაყოფილებლობის მიზეზი გავხდი მე. ამიტომ ვარ მათთვის არასასურველი პიროვნება, რის გამოც ყოველ წუთს ცდილობენ გამონახონ დრო და საშუალება, რომ მომაშორონ მშობლიურ სკოლას, რომელშიდაც მივიღე საშუალო განათლება და რომელსაც უკვე 30 წელია ვხელმძღვანელობ. ისინი გამუდმებით ცდილობენ მიპოვონ დანაშაული, დამიჯგუფონ ზოგიერთი განაწყენებული ადამიანები, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევენ, რადგან სოფლის მოსახლეობა დღეს ბრბო კი არ არის, როგორც თქვენ ჰაბუა ამირეჯიბის ნაწარმოების მეშვეობით ბრძანებთ, არამედ საკმაოდ მაღალი შეგნებისა და კულტურის ხალხია, რომლებმაც იციან ხალხისათვის სამსახურის ფასი. განა შეიძლება ჭკუათმყოფელმა კაცმა დაიჯეროს, რომ სკოლის დირექტორი „ტყით საზრდოობს“, მაშინ სკოლას როგორ-ლა ხელმძღვანელობს საკითხავია, მაგრამ თქვენ ამაში თქვენი ყალბი სტრიქონები, ბოროტი ცილისწამება მარწმუნებს. ძმები ცუცქირიძეები ტყით სხვებზე მეტად სარგებლობდნენ და სარგებლობენ. მე კი თუ რაიმე მომიტანია სახლში, არა სპეკულაციისათვის, არამედ საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის და ისიც ყოველთვის სათანადო საბუთით. უსაბუთოდ და უკანონოდ არასოდეს არაფერი არ გამიკეთებია. მე დღეს არა ვარ სვერელი სეთური, არც გავხდები, მაგრამ თქვენ კი გინდათ ეს ასე მოხდეს ქალბატონო ნანა, რადგან ისეთ დარიგებებს მაძლევთ, რომ თურმე მე უნდა გავცე „წაბლის ან ნედლი ხეების მოჭრის ნებართვა“, და მე უნდა ვიცოდე „წაბლნარის ესოდენი მასშტაბით განადგურების ფაქტი“. ვინ? სკოლის დირექტორმა? დააკვირდით რას ამბობთ, რატომ გინდათ, რომ მე სვერის სეთური ვიყო, ან რატომ გგონიათ, რომ სამასამდე წაბლი მაინცდამაინც მზარდია და არა ზრდადასრულებული. აქაც უცოდინარობას იჩენთ და სხვისი სიტყვებით სარგებლობთ.

რატომ არაფერს ამბობთ თქვენი წერილის შუა ადგილზე მოთავსებულ სურათზე, გვითხარი ვინ არის იგი. ჯირკზე რომ პურმარილით სავსე თეფში და ჭიქები უდევს — სკოლის დირექტორი თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე? ცხადია, ესენი არც ერთი არ არის, მაგრამ მაშინ ვინ არის? რატომ მოათავსეთ ანონიმური სურათი გაზეთში? რატომ შეგყავთ საზოგადოება შეცდომაში. 30-იანი წლების ამბები ხომ არ გინდათ რომ განმეორდეს? ასეთი ბოროტება ქართველ ჟურნალისტს არ ეპატიება, და ვფიქრობ, არც უნდა გეპატიოთ, თორემ შემდეგ უარესს მოიმოქმედებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თქვენ პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევით, როცა ჩემს კომუნისტობასა და ამასწინათ ჩატარებული არჩევნების შესახებ წერთ. რისთვის დაგჭირდათ ჩემთვის სხვა პირის მეშვეობით მგზნებარე კომუნისტი გეწოდებინათ. თქვენ რომ იცოდეთ, მე პარტიის წევრი ვიყავი, მაგრამ არასდროს არ ვყოფილვარ პარტიული მუშაკი. და არც არაფერი მოუცია ჩემთვის პარტიას, არც ბინა, არც ავტომანქანა, არც თანამდებობა. ასეთი იყო ჩემი თაობის უმთავრესი ადამიანების ბედი და ახლა, როცა სულის გაწმენდის დრო დადგა, ჩვენც ერთგულად ვდგევართ ეროვნულ ნიადაგზე. ამაში ხელს რ გვიშლის ყოფილი კომუნისტობა.

რატომ არ გრცხვენიათ, სტალინის ძეგლის აღდგენას რომ მაბრალებთ და ისიც სამჯერ. მითხარით, ვინ გითხრათ მონაჩმახი, ან როდის მოხდა იგი. სინდისი არ გაქვთ, რას ჩადიხართ, ამირან სადუნიშვილი 3 წელია ახლოს არ მინახავს, მალაზიიდან წასვლის შემდეგ სხვადასხვა კოოპერატივებში მუშაობდა და გორბაჩოვის ბრძანებას როგორ გავურჩევდი, ან რისთვის გავურჩევდი ამ ცხოვრებაში ჩაუხედავ კაცს. ასე დაბალი ჭკუის როგორ გგონივართ, არა გრცხვენიათ? რომელი ქართველი გაცვლის ზვიად გამსახურდიას გორბაჩოვში.

დავით ცუცქირიძე 20 წელია მტრად არის გადაკიდებული ჩემზე. როგორ გავსულელდი, რომ მას ვუთხარი „დედა გეტირებათ მრგვალი მაგიდის ხმის მიცემისთვისო“. ჟურნალისტმა ცილისმწამებლის ასეთი მონაჩმახი და ჭორები ვაგონილი როგორ უნდა დაბეჭდო გაზეთში, გეკადრება, ასე ხელაღებით წერა? თქვენ უსათუოდ აგებთ პასუხს.

ლევან ურუშაძისა და დავით ცუცქირიძის მიერ სვერში ჩატარებული არჩევნების შესახებ აღნიშნული შენიშვნები ვფიქრობ, სინამდვილეს არ შეეფერება, თუმცა, მე ეს საკითხი საერთოდ არ მეხება, რადგან მე არჩევნებში სვერში კი არა, თვალუეთში ვმონაწილეობდი. ან რა არის საეჭვო, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თუ საერთოდ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა ხმის 86 პროცენტი მიიღო, ქალაქ ჭიათურის ზონაში — 89 პროცენტი, ხოლო სვერის საკრებულოს საარჩევნო უბნებში — 93 პროცენტი. ამ ფაქტის შემდეგ თქვენს პირუთვნელობაზე ლაპარაკი შეიძლება? თქვენ ამ ცრუ პოლიტიკურ განცხადებებს იმიტომ აკეთებთ, რომ გინდათ გააღიზიანოთ რესპუბლიკის ეროვნული მთავრობა, პირადად ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია. თქვენ სწორედ ასეთი ცრუ პოლიტიკური სპეკულაციით გინდათ შეუსრულოთ სურვილი სულიერად დაავადებულ ძმებს, რადგან სხვა ისეთი ვერავითარი მტკიცებულება ვერ გამოგინახავთ ჩემი ბრალდებისათვის.

მე რა მაქვს ერეკლე ცუცქირიძესთან საერთო, ან მისი მორჩილება რად მჭირდება, მასთან არც ვცხოვრობ და არც ვმუშაობ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ის ასეთი შანტაჟებით ბევრს აშინებს. იგი ძმასაც გამოეყო და ახალი სამოსახლო. მიიღო, ფაქტიურად კი გამონაყოფიდან უნდა მიეღო ნაკვეთი. შემდეგ იქვე მდებარე მიწის სოლიდური ფართობიც ჩაიგდო ხელში. ახლა იგი ერთ ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობს. ღმერთმა მოახმაროს, არავინ არ ედავება, მაგრამ ის პირიქით, გალმა შედავების პოლიტიკას მიმართავს. სწორედ ამიტომ დაიწყო მან საჩივრები ამ ბოლოს ჩემს მიერ მიწის ნაკვეთის მითვისების შესახებ. სკოლის მიწის ნაკვეთი კი არ მიუთვისებია, კანონიერად გადასცეს და დღეს ბაღნარადაა ქცეული. მისი ყოველგვარი შემოსავალი სკოლის სპეცხარჯების ანგარიშზე ირიცხება. თქვენ თუ სინამდვილის გარკვევა გინდოდათ, რატომ არ შეამოწმეთ ეს საკითხი ადგილზე. მთელმა სოფელმა იცის, რომ ერეკლე და მისი შვილები ყველა სიკეთით სხვებზე უფრო მეტად სარგებლობენ. ასე იყო სკოლაშიც, მაგრამ რახან ერეკლემ ცილისწამებებით თავისი ჟინი ვერ გაიტანა და მე სკოლის დირექტორობას ვერ ჩამომაშორა, მაშინ სხვა გზა — მცირეწლოვანი ბავშვებით სპეკულაცია აირჩია. მიმდინარე წლის 21 იანვარს განცხადებით მიმართა ჭიათურის ყოფილი საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ მახათაძეს. რომ „თუ სკოლის დირექტორს არ გადააყენებთ, ბავშვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში არ ვატარებო". მის მიერ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ბატონ თენგიზ სიგუასთან გაგზავნილი ტელეგრამის საფუძველზე, განათლების სამინისტრომ ადგილზე შემოწმებით დაადასტურა, რომ ერეკლეს ბავშვები სხვებთან ერთად და ზოგჯერ მეტადაც დიდი ყურადღებითა და სიკეთით სარგებლობდნენ სკოლაში, რის გამოც წერილობით ურჩიეს დაებრუნებინა იგი სკოლაში, რადგან „მისი შვილების მიმართ არც სკოლის ადმინისტრაცია და არც პედაგოგიური კოლექტივი არავითარ ტენდენციურ დამოკიდებულებას არ იჩენენ და ამდენად მათ სწავლის სრულიად ნორმალური პირობები აქვთ შექმნილი". მაგრამ ამაოდ, ერეკლემ დირექტორის სიძულვილი აჯობინა ბავშვების სიყვარულსა და მომავალს.

ამიტომ თქვენ, ეროვნული გაზეთის თანამშრომელს, ერეკლეს სულიერი ავადმყოფობა კი არ უნდა გაგეღრმავებინათ ქალბატონო ნანა, მისი ცილისმწამებლური განცხადებებისათვის ცილისწამება კი არ უნდა დაგემატებინათ, არამედ უნდა გემკურნალათ და გერჩიათ, რომ მისი პოზიცია მცდარია. ამით ერეკლესაც ეშველებოდა და მის შვილებსაც. მე პირადად, მწამებთ ცილს და ჩემი სკოლის ნათქვამის დამახინჯება როგორ გამიკვირდება, რაც თქვენ წერილში გააკეთეთ. მე თქვენთან საუბარი არ მქონია, მხოლოდ ერთ წუთს შევხვდით და როგორ გეტყოდით ისეთ ტყუილს, რასაც თქვენ წერთ „რეზომ გაგვაფრთხილა, ჩემი ვაჟი თბილისის ერთ-ერთი რაიონის პროკურორის მოადგილეაო". ამას როგორ გეტყოდით, ჩემი შვილი მოსკოვში სწავლობდა ასპირანტურაში და იქვე დაიცვა დისერტაცია, თქვენ რომ აქ ბრძანდებოდით, ის საქართველოში ჩამოსულიც არ იყო და პროკურორის მოადგილე როგორ იქნებოდა. სირცხვილი თქვენ! რამდენი ფანტაზია გქონიათ, რამდენი ტყუილი შეგძლებიათ, მაგრამ არ მიკვირს, ბრძენმა შოთამ თქვა: კოკასა შიგან რაცა დგას იგივე წარმოსდინდებისო.

თქვენ მილიციის კაპიტანს ცილს სწამებთ, რადგან ბატონმა თემურ ხინარაშვილმა კარგად იცის, რომ მე მხოლოდ ერთი სახლი მაქვს სოფელ ცხრუკვეთში. სვერში ჩემი სიდედრის სახლია, თვალუეთში საერთოდ არ უცხოვრია ჩემს მამა-პაპას და არც სახლი მაქვს, თუ არ გინდათ ცილისმწამებელი იყოთ, სასწრაფოდ სახლი უნდა ამიშენოთ სოფელ თვალუეთში.

რატომ ჩემს პატიოსნებაზე არ დაინტერესდით, რომ მე 35 წელია ფეხით დავდივარ სამსახურში და ერთი ავტომანქანის შეძენაც კი ვერ შევძელი ჩემი კუთვნილი ხელფასით, რომ დღემდე ჩემი შვილები ნაქირავებ ბინებში ცხოვრობენ, როგორც თბილისში, ისევე ჭიათურაში. რომ ჩემთვის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას არავითარი ყურადღება არ მოუქცევია, რადგან პატიოსანი და მართალი კაცი უპატიოსნო ადამიანისათვის არ არის მისაწონი. თქვენ რომ პატიოსნების, ადამიანობისა და სიმართლისათვის პატივი გეცათ და საქმის ვითარებაში რეალურად გარკვეულიყავით, ადამიანურ ღირსებასაც არ შემილახავდით და ცხრუკვეთელ კაცს სვერელ სეთურსაც არ დამარქმევდით. განა ყოვლისშემძლე ადამიანს, როგორსაც თქვენ მიწოდებთ, ეს ეკადრება?

თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ სიმართლესა და სამართლიანობას სინამდვილე უდევს საფუძვლად. მაგრამ სინამდვილის ხედვას დიდი ჭკუა და ინტელექტი ჭირდება, პასუხი უნდა აგოთ თუნდაც ამიტომ, რომ თქვენ აღაშფოთეთ არა მარტო მე, არამედ მთელი ჭიათურის საზოგადოება, ყველა ის, ვინც მე მიცნობს. ეს თქვენ არ უნდა გეპატიოთ, პასუხი უნდა აგოთ.

**რეზო ბიწაძე**

(სტილი დაცულია — რედ.).

# სეთური ბობოქრობს

**ჩვენი** წერილის ადრესატი რომ მხოლოდ ერთი პიროვნება იყოს, იქნებ არც კი ყოფილიყო აუცილებელი მისი გამოქვეყნება, მაგრამ ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანას მრავალი სეთური უღრღნის ფესვებს. 70 წლის მანძილზე აღზევებულმა სატანამ თავისი საქმე გააკეთა — გაიფურჩქნა კორუფცია, დაკანონდა მექრთამეობა, მომხვეჭელობა, სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა მიერ ხალხის ექსპლოატაციამ არნახული მასშტაბები მიიღო, მტრობამ და შურმა დააქცია ქვეყანა, ერი ერს წაჰკიდა, მეზობელი მეზობელს, მაფიოზური დაჯგუფებები ბამბის ფესვებივით მოედო მთელ საქართველოს, მოკლედ, ის დრო, როდესაც დიდი დავით გურამიშვილი მოთქვამდა ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლისო, სანატრელი გაგვიხდა.

ჩვენი წერილის („სვერელი სეთური", „თავისუფალი საქართველო", № 25) ადრესატები არიან სხვადასხვა კუთხეებში „მოღვაწე" სეთურები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად არ მოვასვენებთ, არ მივცემთ საშუალებას, ახლა უკვე ეროვნული დროშის ჩრდილქვეშ მოკალათებულთ, მშვიდად განაგრძონ ავ საქმეთა კეთება.

გაფრთხილდით, ბატონებო! ნუ დაიმშვიდებთ გულს, ნუ წარმოიდგენთ, რომ გასულნი ხართ ფონს, რომ აღარ მოგეკითხებათ ცოდვანი. ვიცით, რომ ძალიანაც მოქნილნი ბრძანდებით, ისიც ვიცით, რომ თქვენი გარდასახვის უნარი ბევრ დიდ მსახიობს შეშურდება, ვიცით, რომ აღარ გიდევთ ჯიბეში წითელი მანდატი, რომლის ხელში ჩაგდებაც ერთ დროს ბევრ თქვენგანს დიდი ფული დაუჯდა, ვიცით რომ დღეს ყველანი ეროვნულ საქმეს „ემსახურებით". ჩვენ ყველაფერი ვიცით! ამიტომ მოგმართავთ ყველას, ვინც შეიცანით საკუთარი თავი ამ წერილში (მაგრამ არავის გაუტყდით), შეჩერდით! დაიოკეთ მადა, თქვენი ბეღლები პირთამდე სავსეა, თქვენი სახლკარი ქონებას ვეღარ იტევს, თქვენი სკივრები ლამის დაიბზარონ შიგ ჩატენილი ძვირფასი ნივთების სიმძიმით... გადექით განზე, ბატონებო, მიეცით საშუალება თქვენს მომავალს გააცნობიეროს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „ენა", „მამული", „სარწმუნოება", დააცალეთ შეიცნონ საკუთარი თავი, საკუთარი მისია ქვეყნისა და ხალხის წინაშე ამ აფორიაქებულ დროსა და ძნელბედობის ჟამს.

ეს ღია წერილი, ჩამოიტანა ბატონმა რეზო ბიწაძემ და რატომღაც სხვა რედაქციაში დატოვა. ჩვენ იგი გადმოგვცეს და გვთხოვეს გამოგვექვეყნებინა.

თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმააო და ბატონმა რეზომაც არ დააყოვნა. ღია წერილში იგი ბრალად გვდებს უზუსტობას, ცრუობას, ცილისწამებას, პოლიტიკურ სპეკულაციას. საშინელი ბრალდებებია. ვეცდებით ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით, სვერელ მცხოვრებთა წერილებით და ზოგჯერაც ლოგიკის მოშველიებით ავიცილოთ ჩვენს თავს დატეხილი ბრალდებები.

რედაქციაში ა. წ. 20 ივნისს შემოვიდა ბატონების დავით ცუცქირიძის, ამირან სადუნიშვილისა და ერეკლე ცუცქირიძის წერილობითი განცხადება, სადაც ისინი გვთხოვენ დახმარებას, რათა ვიხსნათ პარტიული მუშაკის, რეზო ბიწაძის დევნისაგან, რომელიც ამავე დროს „ანადგურებს წაბლის ხეებს". რედაქციისათვის ცნობილი იყო, რომ ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარი, მრავალი საინტერესო წერილის ავტორი, ისტორიკოსი ლევან ურუშაძე პრეზიდენტის არჩევნების დროს დამკვირვებელი იყო ჭიათურაში, როგორც ბლოკ „თავისუფლების" წარმომადგენელი, რომ სვერი მისი დედულეთია, ამიტომაც ვთხოვეთ მას მეგზურობა.

„მე თუ რამე მიმიტანია სახლში, არა სპეკულაციისათვის, არამედ საკუთარი ოჯახის საჭიროებისათვის და ისიც ყოველთვის სათანადო საბუთით" — გვწერს ბატონი რეზო. ახლა კი მივყვეთ საბუთებს და გავარკვიოთ, რას ფლობს სკოლის დირექტორი კანონიერად თუ უკანონოდ.

მიწათმოწყობის 1976 წლის ოფიციალური ჩანაწერებით (შემდგომში რაიმე ცვლილება მასში არ



შეტანილა) დასტურდება, რომ სოფ. სვერის საშუალო სკოლას, შენობა-ნაგებობების მიერ დაკავებული ფართობის ჩათვლით, აწერია 2,02 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, რ. ბიწაძე, როგორც სკოლის ფართობს, უკანონოდ ფლობს 1,50 ჰექტარი ფართობის ე. წ. „არეშოულის" ნაკვეთს. ამ ნაკვეთიდან მოწეულ მთელ მოსავალს სწორედ რ. ბიწაძე განაგებს. აღნიშნული ნაკვეთის უკანონოდ მიტაცების ფაქტი 1990 წლის გაზაფხულზე ჩატარებული აზომვის შედეგად დაადგინა ჭიათურის ზონის უფროსმა მიწათმომწყობმა ბ-ნმა კარლო ჯაჯანიძემ, რომელიც ამჟამად ქ. ჭიათურის პრეფექტურის მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის განყოფილებას განაგებს. არეშოულის ნაკვეთის სკოლის მიერ ფლობის უკანონობას ადასტურებს ცნობაც (11,1 1991 წ. № 10) რომელსაც ხელს აწერს მანდაეთის მეცხოველეობის მეურნეობის დირექტორი ს. გამეზარდაშვილი.

რაც შეეხება უკანონოდ მითვისებული მიწებით სარგებლობას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: სოფ. ცხრუკვეთში მცხოვრები ახალგაზრდების კოლექტიურ წერილში (27. 7. 91), რომელსაც ხელს აწერს 12 ახალგაზრდა (გურამ ბიწაძე, რამაზ ბიწაძე, რამაზ მოდებაძე, რობინზონ ბიწაძე, მიხეილ ბიწაძე, ზურაბ ჯაფარიძე და ა. შ.) აღნიშნულია: „რ. ბიწაძემ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად დაგვიხნა ჩვენს მიერ გასუფთავებული და შეძლებისდაგვარად მოწყობილი (რა თქმა უნდა არასტანდარტული) ფეხბურთის მოედანი, რომელსაც ამუშავებს რეზო ბიწაძე სვერიდან ჩამოყვანილი თავისი სკოლის თანამშრომლებით ან სხვა, მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხით. ჩვენ, ბავშვებმა ქვებისაგან გავათავისუფლეთ სხვა მინდორი, გავწმინდეთ ეკალბარდებისაგან, მაგრამ ისევ რეზო ბიწაძემ დაახვნევინა.

...ძვირფასო რედაქციავ, რახან თქვენ შესძელით ამ ხალხის დამჩაგვრელი და მრავალი ადამიანის გამაუბედურებელი პიროვნების ნამოქმედარის სააშკარაოზე გამოტანა, ჩვენ, ახალგაზრდებს აღარ დაგვეკარგება იმედი იმისა, რომ ქვეყანაზე მოიკვეთება ხალხის მჩაგვრელი, ყოვლისშემძლე, პირსისხლიანი კომუნისტების ფარფაში. ჩვენ, მთელი უბნის ახალგაზრდები ხელს ვაწერთ ამ განცხადებას და კარგი იქნება, თუ სვერელ სეთურებს მოაშლევინებთ ხალხზე ბატონობას".

საყურადღებოა აგრეთვე ცხრუკვეთში რ. ბიწაძის კარის მეზობლის გურამ ბიწაძის განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „მან (რ. ბიწაძემ) ხალხს ძალით წაართვა თავისი ვენახის ახლოს მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და თვითონ შემოიმტკიცა. ხოლო მის ნაცვლად ხალხს, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, მისცეს ქვალორღიანი, არამოსავლიანი ადგილები. ჩვენ, ხალხი, ხმას ვერ ვიღებთ, ყველას გვეშინია. მას დიდი პატრონები ჰყავს, ნეტა, თუ დადგება დრო, რომ ამ გაველურებულ ულაყს ვინმე თავზე ლასოს გადააცვამს".

რაც შეეხება წაბლის მზარდი, ნედლი ხეების მასობრივ ჩეხვას, რ. ბიწაძის, ვ ბიწაძის, ა. ბიწაძის და სხვათა ხელმძღვანელობით, უნდა ითქვას შემდეგი: ჯერ კიდევ 1981 წლის აგვისტო-სექტემბერში თვალუეთის სატყეო (ამჟამად ზემო-ხსენებულ პიროვნებათა მოღვაწეობის შედეგად ეს ტყე უშუალოდ თვალუეთის კოლმეურნეობას ეკუთვნის, რაც ადვილებს მის გეგმაზომიერ ჩეხვას) გაჩეხილ იქნა 22,4 კუბომეტრი მზარდი წაბლი. 1982 წლის 28 მაისს გაცემულ, საქართველოს სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილის ო. ბალიაშვილის მიერ ხელმოწერილ ცნობაში (№ 05/25-14) ვკითხულობთ: „...სატყეოს უფროსს ამხ. ა. მუმლაძეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ტყის მცველი ამხ. შ. ს. ბიწაძე მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან.

დამნაშავის დასადგენად და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების მისაღებად საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს"

იმავე ხანებში ქ. ჭიათურის პროკურორს გადაეგზავნა ხსენებული საქმე გამოძიებისათვის (06.11.1981 წ. წერილი № 231). ოფიციალურ წერილს ხელს აწერს მინისტრი ვ. კაჭარავა.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ სვერის საშუალო სკოლის მძღოლი მერაბ ცუცქირიძე (მანქანა № 94-78) სკოლის დირექტორის რ. ბიწაძის მითითებით ეზიდებოდა წაბლის მოჭრილ მორებს. მაგრამ ჭიათურის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის აქტიური ჩარევის შედეგად გამოძიება შეწყვეტილ იქნა (ამ ფაქტს ადასტურებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის განყოფილების გამგე, იმხანად საქ. კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ-ნი მარატ ღვალაძე).

წერილში „სვერელი სეთური" ნახსენები ტყისა (ნახიზნარის უბნის) და რ. ბიწაძის ეზოში არსებულ მზარდი წაბლის მორებზე კანონით დაწესებული ნორმების უხეში დარღვევით გაცემული ცნობების შემოწმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიის სამინისტროს მიერ, მინისტრის რეზოლუციით ორმხრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინების მოთხოვნით, საქმე გადაცემულია რესპუბლიკის პროკურატურაში. „სამასალე" (ე. ი. ნედლი, მზარდი) წაბლის განადგურებისათვის პასუხი უნდა აგოს როგორც თვალუეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა აივენგო ბიწაძემ, ისე ბ-ნმა რ. ბიწაძემ. ამასთან, აუცილებელია ამოწეულ იქნას 1981 წლის საქმე და გაირკვეს, თუ ვისი მითითებით შეწყდა გამოძიება.

ახლა ცოტა პერევისა-სვერის გზაზეც ვისაუბროთ. გზისა და ხიდის გადაკეთება ან შესწორება სკოლის დირექტორს არ შეუძლიაო, ბრძანებს ბატონი რეზო, ნიშნსაც გვიგებს, რატომ არ მიაკითხეთ ჭიათურის საგზაო სამმართველოს და საქმის სინამდვილე არ გაარკვიეთო. მივაკითხეთ, ბატონო რეზო, და ყველაფერიც გავარკვიეთ.

ეს გზა, როგორც სამანქანო გზა (თორემ საურმე გზა იქ გასული საუკუნის დამლევსაც არსებობდა) გაყვანილ იქნა 1939 წელს და სათანადო დოკუმენტაცია ინახება კიდეც ჭიათურის არქივის ფონდებში. ამასვე ადასტურებს ომისა და შრომის ვეტერანი, სვერის უხუცესი მცხოვრები, 90 წლის ბატონი ავქსენტი ცუცქირიძე, რომელიც თავად მონაწილეობდა 1939 წელს პერევისა-სვერის საავტომობილო გზის მშენებლობაში. რაც შეეხება გზის ამჟამინდელ შეკეთებას (და არა გაყვანას!) რ. ბიწაძე აცხადებს, სკოლის დირექტორს რა ხელი უნდა ჰქონოდა ამ საქმესთანო. სინამდვილეში სწორედ მისი მოთხოვნით იქნა შეცვლილი პროექტი. ამ თვითნებობას შეეწირა იმერული მუხის (წითელ წიგნში შეტანილი ჯიშის) კორომი — რამდენიმე ათეული ძირი. მის ადგილას გაყვანილი გზა კი ისეთი დამრეცი იყო, რომ ვერც ერთი ავტობუსი ვერ ძლევდა მას. ამის შემდეგ გაზ. „ჭიათურის მაღაროელის" 1990 წლის 14 ნოემბრის ნომერში სიამაყით აღსავსე წერილი გამოაქვეყნეს, მაუწყებელი იმისა, რომ გზა პროექტის დაცვით იყო შეკეთებული. პროექტის დარღვევით გაყვანილმა ხსენებულმა აღმართმა სოფლის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამან მშენებლები და ბ-ნი რეზო ბიწაძე აიძულა თავი დაენებებინათ ამ აღმართისათვის და პროექტის დაცვით გაეყვანათ გზის მონაკვეთი. სწორედ ამ ნიადაგზე გაღრმავდა ბ-ნი რ. ბიწაძისა და მისადმი ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას შორის არსებული კონფლიქტი.

„თქვენ პოლიტიკურ სპეკულაციას ეწევით, როცა ჩემს კომუნისტობასა და ამასწინათ ჩატარებული არჩევნების შესახებ წერთ — გვსაყვედურობს ბატონი რეზო. არის თუ არა (და იყო თუ არა) რ. ბიწაძე ფუნქციონერი კომუნისტი? ბ-ნი რეზო არის საქ. კომპარტიის რამდენიმე ყრილობის, მათ შორის 28-ე ყრილობის დელეგატი, საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, აკი თავად აცხადებს „პარტიაში II კურსის სტუდენტი შევედი პარტიის მაშინდელი (!) ავტორიტეტისა და მისი საკაცობრიო, საყოველთაო-სახალხო იდეალების მოწონებითა და ერთგულებით(!) დღესაც ასევე ვრჩები და კვლავაც მთელი ზნეობრივი სიწმინდით და ერის ერთგულებით (?! — რედ.) წავრმართავ ჩემს მცირე და მოკრძალებულ საქმიანობას" (წერილი „იმედითა და რწმენით". ჭიათურელი კომუნისტების გაზეთი „თვალსაზრისი". 1990 წლის 16 ნოემბერი).

ჩვენს წერილს ფრიად აღუშფოთებია საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი, რომელმაც საპროტესტო განცხადება გამოაქვეყნა გაზ. „სამთოელი"-ის 1991 წლის 28-ე ნომერში.

დღეს კი რედაქციაში მივიღეთ წერილი საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნის, ამხ ი. ჭილაძისაგან, სადაც იგი ბრალს გვდებს იმაში, რომ ჩვენი ტენდენციური წერილი „ხელს არ უწყობს საკრებულოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დაპირისპირებულ ჯგუფს შორის ურთიერთობას და წარმოადგენს პარტიულობის ნიშნით საკრებულოსა და მოქალაქეების დევნის ფაქტს". ბატონო კომპარტიის ჭიათურის მდივანო! სოფლის მოსახლეობა ჩვენ არც დაგვიპირისპირებია და მხოლოდ წერილით ვერც ამ დაპირისპირების მოსპობას მოვახერხებთ. ჩვენი წერილის მიზანია აღმოიფხვრას თქვენს საკრებულოში ერთი პიროვნების დიქტატი და დაუსჯელობის ის გრძნობა, რამაც ეს დიქტატი და აქედან გამომდინარე დაპირისპირება წარმოშვა.

რაც შეეხება, იმას, რომ „სეთურის მონებად" არ შეიძლება ჩაითვალოს ხალხი, რომელმაც ხმა მისცა თავისუფლებას და ჩვენს პრეზიდენტს, მოგახსენებთ, რომ მონებად თქვენი პარტია თვლიდა ხალხს 70 წლის მანძილზე და თქვენი „ღირსეული შვილები" დღესაც იგივეს აგრძელებენ.

ამდენად არც არის გასაკვირი, რომ საქ კპ ჭიათურის ქალაქკომი ესოდენ დაინტერესებულია ბ-ნ რ. ბიწაძის პიროვნებით.

სვერის საკრებულოში კი გასულია არა 10, როგორც რ. ბიწაძე ბრძანებს, არამედ 17 დეპუტატი კომპარტიის სიით (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა პარტიის წევრი თუ ნაწევრალია ესა თუ ის პირი).

„სოფლის მოსახლეობა დღეს ბრბო არ არის, არამედ საკმაოდ მაღალი შეგნებისა და კულტურის ხალხია" — ბრძანებს ბატონი რეზო. მაგრამ მაღალი შეგნებისა და კულტურის ხალხის შევიწროებაზე სკოლის დირექტორის მიერ ნათლად მეტყველებს ის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც რედაქციამ მიიღო. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

„არ ვიცი როგორ გამოვხატო სიხარული და გაკვირვება გაზეთ „თავისუფალ საქართველოს" 12 ივლისს გამოქვეყნებული წერილით „სვერელი სეთური". მე, გრიგოლ სამხარაძე, რომელიც ვცხოვრობ სვერის საკრებულოში შემავალ სოფელ ცხრუკვეთში, ოცდაათ წელზე მეტი ვშრომობდი სოფელში და ვარ რეზო ბიწაძის წითელ ბასრ ბრჭყალებში. ჩემი სიცოცხლის 70 წლის მანძილზე თქვენ პირველმა შესძელით მისი ნამოქმედარის გამომზეურება, (თუნდაც ძალიან უმნიშვნელოსი) თქვენი გამოქვეყნებული მასალები სწორია, მაგრამ ეგ ზღვაში წვეთია. მე არ შემწევს ფიზიკური ძალა თქვენამდე მოვიდე და მაგის მნიშვნელოვანი ფაქტები მოგახსენოთ. გვიხსენით წითელი აფთრისაგან. ულრმესი მადლობა, ქალბატონო ნანა, ფრთხილად იყავით, თქვენც არაფერი მოგწიოთ. გრიგოლ სამხარაძე".

კიდევ ერთი წერილი:

„მე, ვალოდია აკაკის ძე ცუცქირიძემ, წავიკითხე თქვენი გაზეთი 12 ივლისისა. გაოცებული დავრჩი, როგორ გაბედეთ რეზო ბიწაძეზე სიტყვის დასველება. ყოჩაღ თქვენს

(დასასრული მე-8 გვ.)

# წმიდა მოწამე არჩილ

## (ქართლის მეფე არჩილ II)



თბილისის სიონის მოხატულობა — XIX ს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არაბების მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ ერისმთავარი სტეფანოზ II ოჯახითურთ ეგრისში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა. მას დარჩა ორი ძე, არჩილ და და მიჰრ (მირიან).

ჯუანშერი მოგვითხრობს — „მოიწია ამირა აგარიანი ქართლად რომელსა ერქუა ყრუ მურვან... ამისათვის ეწოდა ყრუ, რომელ მეორედ არა მიითუალვიდა სიტყუასა განზრახთასა“. მურვან ყრუმ საქართველოში 735-736 წლებში ილაშქრა. მემატიანეს ცნობით, მან ჯერ ქართლი მოაოხრა „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა“. შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, „ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანიცა. ...და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი, და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა, რომელთა შინა არს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა, არა კაცობრივითა ხელითა დაწერილი, არამედ ზეგარდმო, რომლისა არავინ უწყის... მუნ შინა იყუნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირიან და არჩილ“...

მიუხედავად იმისა, რომ „ვერვინ შემძლელ იყო წყობად ყრუსა; რამეთუ იყუნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჰალაკთა ეგრისისათა“, არჩილ და მიჰრ საბრძოლველად გაემზადნენ. „მივიდეს წინაშე წმიდისა მის ხატისა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა, თაყუანის-სცეს შევრდომით და იტყოდეს: „განვალთ სასოებითა ძისა შენისათა და ღმრთისა ჩუენისათა, რომელი იშვა შენგან, და მისა შეწირე ოხა ჩუენთვის“. და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა ნათესავი ერისთავთა და პატიახშთა ათასი, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი, და ვიდრე გათენებამდე მოავლინა უფალმან სარკინოზთა ზედა ხორშაკი ბლუარისა და გუემნა იგინი სატლითა სისხლისათა და ეჩუენა მას ღამესა არჩილს ანგელოზი უფლისა, რომელმან რქუამ მას: „წარვედით და ეწყვენით აგარიანთა; რამეთუ მიმივლენია მათ ზედა გუემა სასტიკი მომსრველი, კაცთაგან მიპირუტყუთამდე. განრახუიდეთ, გესმეს ხმა ტირილისა და ვაებისა. ხოლო მხნე იყვენით და განძლიერდით სასოებითა ღმრთისათა“. და ვითარცა განთენდებოდა, ისმა ბანაკით მათით ხმა ტირილისა და გოდებისა. მაშინ განვიდეს სასოებითა ღმრთისათა წყობად მათდა, ეწყუნეს და უფალმან მოსცა ძლევა მტერთა მცირედთა ერთა ქრისტიანეთა, და მოსწყუიდნა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახუილითა — სამი ათასი. და იწყლა მიჰრ მარზაკითა ფერდსა. ხოლო ქრისტიანეთაგან მას დღეს შინა მოკლეს კაცი სამოცი“...

ანაკოფიასთან ქართველებმა ღვთის შეწევნით მურვან ყრუს უძლეველი ლაშქარი დაამარცხეს, არაბებმა ეგრისი დატოვეს, ქართლში გადავიდნენ, „ხოლო იქმნა მას ჟამსა შინა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა: რამეთუ არღარა იპოებოდა ნაშენები და არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლად“. ბრძოლაში დაჭრილი მიჰრ „დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თუისსა არჩილს: „მე ესერა წარვალ, ძმა-უფალო, მამათა ჩუენთა თანა; არამედ წარმეც და დამფალ საფლავსა მამათავე ჩუენთა თანა, და შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალევთა სადა არს. და არა მივის მე წული შვილი მკუიდრად, არამედ მისხენ შვიდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკუიდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა...“

არჩილ მეფემ მნიშვნელოვანი რეფორმა ჩაატარა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით. ქართლის ერისთავებს ორი საუკუნის განმავლობაში სამემკვიდრეო სამმართველოდ ჰქონდათ დაჩემებული საერისთავო ქვეყნები, არჩილმა აღიარა ერისთავთა ხელმწიფობა „საერისთავოებში“. ქვეყნის ნახევარი წმიდა არჩილმა სამეფო საკუთრებაში დატოვა, ხოლო დანარჩენი ერისთავებს შორის გაანაწილა „მკვიდრად და სამამულოდ“. ფაქტობრივად, ქვეყანა ცალკეულ სამთავროებად დაქუცმაცდა, მას მერე, რაც ერისთავებმა საერისთავოების მემკვიდრეობითი მართვის უფლება მიიღეს და თავიანთი „ხელმწიფობა“ (საჯარო-პოლიტიკური უფლება) მეფის სიძეობითაც განამტკიცეს, ისინი უკვე მთავრებად იწოდებოდნენ.

„არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი: ერთი მისცა მამის ძმასა, შვილსა გუარამ კულაპარტისსა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი; მეორე მისცა პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს; მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იყო იგი წარჩინებული ვახტანგ მეფისა; მეოთხე მისცა ადარნესეს ადარნესიანსა, და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი; მეხუთე მისცე ვარზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდისხევამდე. იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის ძმა ვახტან მეფისა; მეექუსე მისცა ჯონზერს ჯონზერიანსა, რომელი იყო ნათესავი მირიან მეფისა შვილთაგან რევის ძეთასა; და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, ხოლო მანგლისის ხევი და ტფილისი. ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა ამათ ხევთაგან“.

ლეონ აფხაზთა ერისთავმა სთხოვა არჩილ მეფეს — „შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა, არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენივე იყოს“. წმიდა არჩილმა ლეონს მიათხოვა ძმისწული გურანდუხტ და აფხაზეთი სამემკვიდრეოდ დაუმტკიცა. აფხაზეთის მთავარი ქართლის მეფის ვასალი გახდა.

არჩილ მეფის დროს პირველად იხსენიებიან ბაგრატიონები — „მაშინ მოვიდა მთავარი ერთი მისა, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე, ძისწული ადარნესე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახლებულ იყო ბაგრატიონთად, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისა, და ტყუეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გურამ კულაპარტისთა კლარჯეთს, მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკეთუ ინებო, მყო მე ვითარცა მკუიდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი და არტანი“.

თავდაპირველად არჩილ მეფე დასავლეთ საქართველოში „დაემკუიდრა“. გავიდა ხანი, „წარხდა ამას შინა წელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან, ხოლო განრყუნილ იყო საყოფლად მცხეთა. გარდავიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხვარსა თანა ხიდრისსა...“

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი, ასული გურამ კულაპარტისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლის ნაშობთა“. არჩილს ექვსი შვილი შეეძინა, „ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანე; და ასულნი ოთხნი: გურანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშანა“.

არჩილ მეფე განაგრძობდა ქვეყნის მოწყობას (აშენებდა ციხესიმაგრეებს, ნათლავდა წარმართებს), მაგრამ ამ დროს ქართლში კვლავ არაბები შემოიჭრნენ. ჯუანშერი წერს — „ეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა“.

„ქართლის ცხოვრებაში“ ჯუანშერის თხზულება ამით სრულდება და იწყება ლეონტი მროველის „წამება წმიდისა და დიდებულის მოწამისა არჩილისი რომელი იყო მეფე ქართლისა“.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქართლში შემოიჭრა არაბთა ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდა „ჰიჰნომ, ძე მოჰმადისი,... რომელსა ეწოდა ასიმ“.

არაბებმა მოაოხრეს ქართლი და კახეთში გადავიდნენ. მტრისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოხერხდა, „არა შემძლებელ იყუნეს წინააღმდგომად“, ამიტომ წმიდა არჩილმა გადაწყვიტა ხლებოდა ასიმს, ეთხოვა „მშუიდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა“. ასიმი არჩილ მეფეს „მიეგება სიხარულით და მოიკითხა დიდითა დიდებითა. და დაყვეს დღე იგი ერთობით. აქო სიკეთე მისი, შეუყუარდა სისრულე ასაკისა მისისა, უმეტესად შუენიერება პირისა მისისა, შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო ლიქნით სიტყუად, აღუთქმიდა ნიჭთა და აწუევდა დატეობასა ქრისტეს სჯულისასა და მოქცევად სარკინოზად“. არჩილ მეფემ მტკიცედ მიუგო — „ნუ იყოფინ; თუმცა ვინმე სიტყუათა შენთა ვისმინე, ანუმცა დაუტევე ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი, რომელმან ხსნისათუის ჩუენისა ხორცითა სიკუდილი დაითმინა; და უკეთუ ვისმინო შენი, უწყოდე, რომ მოვკუდე სიკუდილითა, რომლითა ვიტანჯებოდე უკუნისამდე. გარნა უკეთუ შენ მომკლა, აღვდგე ვითარცა ღმერთი ჩემი და მის თანა ვიდიდო“.

უსჯულო ასიმი განაცვიფრა წმიდა არჩილის სიმტკიცემ და შეურყევლობამ, ბრძანა მისი შეპყრობა და ციხეში ჩაგდება, „რათა ღონისძიებით მოაქციოს“, რადგან სასოკვდილოდ არ ემეტებოდა „სიმშუენიერისათუის ხატისა მისისა და სიმაღლისათუის ასაკისა მისისა“.

საპყრობილეში მყოფი წმიდა არჩილი „აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა შეწევნასა მისგან, რათა მოწყალებითა მისითა ღირს ყოს მიმთხუევად და მკუიდრ-ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა ყოველთა თანა წმიდათა, რომელთა ღმრთისათუის სიკუდილითა უკვდავება მოვიგოთ“.

ამ დროს ასიმს ეახლა „მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად“. გარდაბნის გამაჰმადიანებულმა ერისთავმა არაბთა მხედართმთავარს მოახსენა, რომ არჩილ მეფე შვილია ერისმთავარ სტეფანოზისი, მამასთან ერთა იყო, როდესაც ქართლის საგანძური დაფლეს საიდუმლო ადგილას, ასევე იცისო თუ სად დამალა ჰერაკლე კეისარმა თავისი განძი. [illegible] ლმა მთავარმა [illegible] ოტგანზრახვით [illegible] რი იძია, რომელმან წმიდა არჩილის პაპას, ადარნესეს, მისი ბიძის მკვლელები ცოცხლები გაუშვა თავის დროზე. ასიმმა როდესაც განძის ამბავი შეიტყო, წმიდა არჩილს უთხრა — „თუალ გახსენ, განახუენ ქმნილ-კეთილობისა შენისათუის, რამეთუ ფრიადცა ქმნულ-კეთილ ხარ. აწ მითხრეს შენთუის, ვითარმედ შვილ ხარ დიდთა მეფეთა ხუასროანთა. არამედ აწ უფროს განდიდნე წინაშე ჩემსა, უკეთუ ისმინო ჩემი, იყოს სამეფო შენი შენდავე და საგანძურიცა მამათა შენთანი მოგანიჭე შენვე. პირველად მიჩუენე საგანძურნი მეფეთა ბერძენთანი, მოიქეც სჯულსა ჩემსა, იქმენ სარკინოზ, და სპასალარ გყო შენ ქუეყანასა ქართლისასა, მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“. წმიდა არჩილმა ასიმს მიუგო, რომ როდესაც ჰერაკლე კეისარმა ქართლი გაიარა, იგი მცირეწლოვანი იყო, „ხოლო მამამან და მამამან ჩემმან დასხნეს იგინი ციხესა მას სადათ იგი შეიქცა ყრუ ამირა; და აწ აქუს იგი ბერძენთა, ხოლო მე არა დაუტეო უფალი ღმერთი ჩემი, არცა განვიყიდო წარუვალი იგი დიდება მსწრაფლ წარმავალისა ამისთუის“. ასიმმა წმიდა არჩილს უთხრა — „შენ უკუე იყავ დაცემასა მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა“. წმიდა არჩილმა მიუგო — „მე ვიყავ მაშინ, რაჟამს დასცნა იგინი ღმერთმან“. ასიმმა ჰკითხა — „რომელმან ღმერთმან დასცნა სარკინოზნი?“ წმიდა არჩილმა უპასუხა — „ღმერთმან ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისა და რომელი იგი არს და მოვიდა ზეცით ქუეყანად ხსნისათუის ნათესავისა კაცთასა, სიკუდილითა თუისითა ალაგუადგინნა, და უკუდავება მოგუანიჭა; მან უკუე დასცნა და დაამდაბლა იგინი“.

ამის გამგონე ურჯულო ასიმ თქვა — „რომელი ღმერთი მოკუდავი არს და სასოება ცხორებისა მოკუდავისა მიმართ აქუს, ჯერ არს მისიცა სიკუდილი“ და ბრძანა თავი მოეკვეთათ წმიდა არჩილისთვის.

„...და განიყვანეს გარე და მოჰკუეთეს თავი თუესსა მირკანისსა, რომელ არს მარტი“.

წმიდა არჩილმა „შევედრა სული დამბადებელსა თუისსა, აღირჩია სიკუდილი უკუდავებისა მომატყუებელი, შესცვალა მცირედ ჟამისა ესე მეფობა საწუთროსა სიხარულად საუკუნოდ. ღირს იქმნა განწყობილთა თანა წმიდათა და აზოვანთა მოწამეთასა წარდგომად წინაშე ღმრთისა, და მათ თანა გუირგუინოსანი იხარებს წინაშე წმიდისა სამებისა“.

როდესაც აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, „მოვიდნენ გოდერძიანნი ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს პატივითა დიდითა, დამარხეს ნოტორას, მის მიერვე აღშენებულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან მისმან მიუბოძა სოფლები მათ, რომელთა მოიღეს გუამი წმიდისა არჩილისი კახეთსა შინა, სამკუიდრებელად თუისად“.

# სეთური ბობოქრობს

(დასასრული)

ვაჟკაცობას. იქნება გაიმარჯვოს სიმართლემ... დიდი მადლობელი ვარ წერილის გამოქვეყნებისათვის. ვ. ცუცქირიძე“. და ბოლოს კიდევ ერთი მრავალთაგან:

„წავიკითხე თქვენს მიერ ა. წ. 12 ივლისის გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „სვერელი სეთური“. აღფრთოვანებული ვართ. წერილში მოყვანილი ფაქტები სრული სინამდვილეა. რეზო ბიწაძის არასწორ მოქმედებაზე მანდ ბევრი კიდევ არ წერია. მოხარულები ვართ, ყოჩაღ თქვენ, როგორ მოახერხეთ ყოველივე ეს. რეზო ბიწაძე ხომ ჩვენი სოფლის ბატონია. მაგის გამტყუნება და სააშკარაოზე გამოტანა ჯერ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ შეძლო.

დიდ მადლობას გიცხადებთ და ისურვებთ მომავალში კიდევ დიდ ჰმატებებს. ჩაჩანიძე ზაქრო, ჩაჩანიძე ლევან, ჩაკვეტაძე ქეთინო“.

აი ასე, ბატონო რეზო, მსგავსი ხასიათის წერილები მრავლადაა; ისინი რედაქციაში ინახება, შეგიძლიათ მობრძანდეთ და უკლებლივ ყველა წაიკითხოთ.

ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ბ-ნი ლევან ურუშაძის მიერ ნაკვეთის „უკანონოდ“ ფლობის შესახებ. ამ მიწას (ბევრად უფრო დიდი მოცულობისას) ფლობდნენ მისი წინაპრები და ბაბუამისი — 1920-30-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, 1937 წელს დახვრეტილი ევგენი (გენო) ღვალაძე (1900-1937). ამავე მიწაზე ომის წლებში ცხოვრობდა ბებიამისი, იმხანად სვერის საშუალო სკოლის დირექტორი თამარ ღვალაძე (1902-1986), ამასთან, ამ 1000 კვ. მეტრი ნაკვეთის მისთვის დაბრუნებისათვის ლ. ურუშაძემ ყოფილ სოფლსაბჭოში წარადგინა ოფიციალური შუამდგომლობები. ერთოთახიანი პატარა სახლი ოფიციალურად იყო გაფორმებული.

ჩვენ, სოფლის მცხოვრებლებთან საუბარშიც შევიტყვეთ, რომ სკოლის მოწაფეები და მათი მშობლები ემსახურებიან სკოლის დირექტორს როგორც ყმები, თუ მშობელი წინააღმდეგობას გაუწევს, ბატონი რეზოს რისხვა მის შვილს ატყდება თავს.

მშობლებთან ურთიერთობის გამო მათი შვილებისადმი რეპრესიული მეთოდების გამოყენებისათვის ბ-ნ რ. ბიწაძეს, როგორც სკოლის დირექტორს და მის ხელშემწყობებს უნდა დაეკისროთ მკაცრი პასუხისმგებლობა.

ამასთან, თხოვნით მივმართავთ საქართველოს განათლების მინისტრს, ბ-ნ ელ. ჯაველიძეს, რათა ამ და წინამდებარე წერილში მოყვანილი სხვა ფაქტების გამო განხილულ იქნას საკითხი დაკავებული თანამდებობიდან ბ-ნ რ. ბიწაძის განთავისუფლების შესახებ.

რ. ბიწაძე თავის მოწინააღმდეგეებს „სულით ავადმყოფებად“ აცხადებს, რაც ძლიერ ჰგავს კომუნისტურ-ბოლშევიკური რეჟიმისდროინდელ ე. წ. „ცისფერსისხლიანთა“ კასტის სულისკვეთებას. და ბოლოს ღიმილს იწვევს ბატონი რეზოს წერილის ის ადგილი, სადაც იგი ანონიმურ სურათზე გვსაყვედურობს. სად დალანდეთ, ბატონო რეზო, პურმარილი და ღვინით სავსე ჰიქები? როგორც ჩანს ხშირად წაგიქეიფიათ გადაჭრილ მორებზე თქვენ და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და გულმა რეჩხი გიქნათ, ჩუმად სურათი ხომ არ გადაგვიღესო. არა, ბატონო, რეზო, ჩვენ ჩუმად და მიპარვით არაფერს ვაკეთებთ, სურათზე ბატონი გივი ნინიკაშვილია ზურგით რომ დგას, იგი წაბლის გადაჭრილ მორს ზომავს (თვალსაჩინოებისთვის სურათს ხელახლა ვბეჭდავთ). ეს არის და ეს. თქვენ კი...

სტრიქონებს შუა კომუნისტურ პარტიაზე საყვედურს გვაპარებთ — „ჩემთვის არც ბინა, არც ავტომანქანა, არც თანამდებობა არ მოუციათ, ასეთი იყო ჩემი თაობის უმთავრესი ადამიანების ბედი და ახლა, როცა **ხულის გაწმენდის დრო დადგა, ჩვენც ერთგულად ვდგევართ ეროვნულ ნიადაგზე, ამაში ხელს არ გვიშლის ყოფილი კომუნისტობა“** — ბრძანებთ თქვენ. რამდენი პათოსია ამ სიტყვებში, რამდენი ალმაფრენა, და რამდენი სიყალბე. განიწმინდებიან კი სულით, ყოფილი **ქართული ყაიდის ჭეშმარიტი** კომუნისტები, დადგება კი ეს სანატრელი დრო?!

**ნანა დოლიძე**

**P. S. ყველა „ბრალდებაზე“ არ ჩავთვალეთ საჭიროდ განმარტების მიცემა, რამეთუ ისინი უსუსურზე უსუსრუნი არიან. მხოლოდ ორს ვეთანხმებით, მართალია ბატონი რეზო, ხერგო ღვალაძის ეზოში მდგარი მუხა კაკლის ხედ მოვნათლეთ და ორი სახლის ნაცვლად, რომლებიც ცხრუკვეთხა და ხვერში ჰქონია ბატონ რეზოს, სამი სახლი აქვსთქო, ვწერდით. ამ შეცდომისათვის რედაქცია ბოდიშს იხდის. დაბოლოს, ვთხოვთ ჭიათურის პრეფექტურას, გამოგვეხმაუროს აღნიშნულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით.**


რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თეიმურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-21-47.

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29